



**საქართველოს უზენაესი
სასამართლოს
ერთგვაროვანი პრაქტიკა
ადმინისტრაციულ საქმეებზე
(2014 წლის II ნახევარი – 2015 წელი)**

საქართველოს უზენაესი სასამართლო
სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

თბილისი

2017



**Uniform practice of the
Supreme Court of Georgia
on administrative cases
(The second half of 2014 - 2015)**

**The Supreme Court Of Georgia
Court Practice Research and Generalization Department**

Tbilisi
2017

შემდგენლები:

ლიანა ლომიძე

სანდრო ჯორბენაძე

სტილისტ-რედაქტორი

თეა მაისურაძე

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი

© ლიანა ლომიძე, 2017

© სანდრო ჯორბენაძე, 2017

© საქართველოს უზენაესი სასამართლო 2017

ISBN 978-9941-0-9785-0

The Collection was compiled by

Liana Lomidze

Sandro Jorbenadze

Style Editor

Tea Maisuradze

Graphics Editor and Design

Marika Maghalashvili

© Liana lomidze, 2017

© sandro Jorbenadze, 2017

© Supreme Court of Georgia, 2017

ISBN 978-9941-0-9785-0

შემდგენლების განმარტების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. საკასაციო სასამართლოს როლი მართლმსაჯულების განხორციელებისა და კანონიერების პრინციპების დამკვიდრების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხელს უწყობს კანონის ერთგვაროვანი განმარტების დამკვიდრებასა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლი არეგულირებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობას, რომლისთვისაც ძირითად კრიტერიუმს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ინტერესი წარმოადგენს. სასამართლოს გადანყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას და ერთი მხრივ, წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტურ მექანიზმს და უზრუნველყოფს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას. ამასთანავე, გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაცია ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც უმნიშვნელოვანესი ელემენტია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

თითოეული გადანყვეტილების უკან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და უზენაესი სასამართლოს, როგორც ნორმის განმარტების ფუნქციის მატარებელი ინსტანციის მნიშვნელობა დგას.

ამდენად, სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამართლებრივი ნორმების განმარტების, მათი ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებისთვის.

სასამართლომ უნდა გამოიყენოს ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში.

კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა ნაკითხული უნდა იქნეს არა განყენებულად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ქრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა.

საკასაციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნორმის განმარტებისას სასამართლო არ გასცდეს კანონის ფარგლებს, რადგან მართლმსაჯულება შეუძლებელია კანონით. აღნიშნული ძირითადი პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით, რომლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანო-

ბაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. ზემო-აღნიშნულის საფუძველზე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გააჩნია კანონშემოქმედებითი ფუნქცია, იგი ახდენს მხოლოდ ნორმის განმარტებას შესაბამისი კანონის ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2014 წლის მეორე ნახევრისა და 2015 წლის პერიოდში გაუქმებული საქმეების ანალიზის საფუძველზე შესწავლილ იქნა ქვედა ინსტანციის სასამართლოების ტიპური შეცდომები. მასალის განზოგადებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად საკასაციო სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვისას კვლავ ვლინდება დარღვევები, რაც გამოიხატება როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური სამართლის ნორმათა არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

წინამდებარე კრებულში შესული გადანყვეტილებები დალაგებულია თემატურად, ყოველ მათგანს წინ ერთვის მცირე განმარტება, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეებს დასაბუთების ხარისხის ამაღლებასა და ადმინისტრაციული სამართლით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უკეთ გაცნობაში.

FROM THE COMPILERS

The Supreme Court of Georgia is the highest and the last instance cassation court of justice throughout the country, which supervises the administration of justice in the courts of general jurisdiction by the established procedure, carries out other authorities provided by the Constitution of Georgia and by the law of Georgia on "General Courts". Role of the Court of Cassation in the administration of justice and the establishment of the rule of law principles is very important, because it contributes to a uniform interpretation of the law and the establishment of a common judicial practice.

Article 34 of the Administrative Procedure Code, governs the admissibility of the cassation appeal, for which the main criterion is interest of establishing uniform judicial practice. The right to appeal to higher court performs preventive role and on the one hand provides an effective mechanism for the protection of the right and ensures to prevent possible errors. On the other hand, creates an opportunity to correct mistakes. At the same time, the perfect realization of the right to appeal contributes to the establishment of a uniform court practice, which is a crucial element of a quick and effective justice.

Behind to every judgment is standing a common judicial practice and the Supreme Court, as an instance with the function of the legal norm interpretation.

Thus, the court practice is important for the interpretation of the legal norms, for their uniform application practices.

The court must apply such rules, according to which the law should be interpreted in the legislature's purpose and in the context of its possible implementation.

Law definition is based on certain principles: the principle of impartiality, which means that the definition should be based on the text of the law and reflect the will of the legislator; Principle of unity - each provision should be read not in isolation, but rather in a systematic, logical way from the light of the text of the law; Principle of Genetic interpretation - the legislature's intention and purpose should be taken into account.

The Court of Cassation has repeatedly pointed out, that from the principle of separation of legislative and judicial power, it is important in interpreting the provision, that the court does not go beyond the limits of the law, because justice is limited by law. This basic principles are enshrined in Article 84 of the Constitution, which states, that a judge shall be independent and subject only to the Constitution and law. Based on the foregoing, under the principle of separation of powers, the Court does not have law-making function, it only defines the provision in the auspices of the relevant law.

Typical errors of the lower courts were analyzed based on the study of canceled cases of the second half of 2014 and 2015 by the chamber of administrative cases of the Supreme Court. Generalization of the material showed, that despite the established practice of the Court of Cassation, the Court of Appeal by reviewing the cases, are still open to occurring flaws, which are reflected in the misuse of the applicability and interpretation of both procedural and substantive law.

Judgments included in the collection are sorted by subject, to each attached a little explanation, which will help judges to improve the quality of reasoning and to anyone interested in administrative law for better understanding of the established uniform court practice.

საკიებელი

| | |
|----------------------------|----|
| შემოკლებანი | 15 |
| მუხლობრივი საძიებელი | 19 |

ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ ნორმათა დარღვევები

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

ძირითადი დებულებანი

| | |
|---|----|
| ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა და რეკვიზიტები | 17 |
| დისკრეციული უფლებამოსილების იგნორირება; სასამართლო კონტროლისა და უფლებამოსილების საკანონმდებლო ფარგლების გადამეტება | 18 |
| საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა; პროკურატურის მუშაკის პასუხისმგებლობა და პროკურატურიდან დათხოვნა | 19 |
| ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება | 20 |

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

| | |
|--|----|
| ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება | 21 |
| ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება და ბათილად ცნობა | 22 |

ადმინისტრაციული ხელშეკრულება

| | |
|--|----|
| ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება; ვალდებულების ცნება და მისი წარმოშობის საფუძველები; კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების (ბინით დაკმაყოფილების) შესრულება | 23 |
| მესამე პირის მონაწილეობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებაში | 24 |
| ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადება | 25 |

ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით

| | |
|---|----|
| ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მინის ნაკვეთის) პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების თაობაზე საკითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიცირება | 26 |
|---|----|

| | |
|--|----|
| ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი; მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი | 28 |
|--|----|

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

| | |
|---|----|
| საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას; ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის | 29 |
| საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას; მორალური ზიანის სამართლიანი ანაზღაურება პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის | 30 |
| სახელმწიფო ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი | 31 |

2. საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები

| | |
|---|----|
| თანამდებობაზე კონკურსის წესით და უკონკურსოდ დანიშვნა | 33 |
| სამსახურებრივი შეუთავსებლობა; განთავისუფლება სამსახურში მიღებისას დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის | 34 |
| სამსახურიდან განთავისუფლება შემცირებასთან დაკავშირებით; საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა | 35 |
| სამსახურიდან განთავისუფლება შემცირებასთან დაკავშირებით | 36 |
| სამსახურიდან განთავისუფლება დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო | 37 |
| მოთხოვნის უფლება სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში | 38 |
| პროკურატურის მუშაკის პასუხისმგებლობა და პროკურატურიდან დათხოვნა; საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა | 39 |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი; შსს-ს მოსამსახურეთა ერთჯერადი (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურება | 40 |
| სამსახურიდან განთავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის; დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლები | 41 |
| შსს-ს მოსამსახურის პასუხისმგებლობა და სამსახურიდან დათხოვნის წესი | 43 |

3. სოციალური უზრუნველყოფის საკითხები

| | |
|---|----|
| სამხედრო მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების განმსაზღვრელი პირობები | 44 |
| მოსამართლის კომპენსაციის გაანგარიშება | 45 |
| უცხო ქვეყნის მოქალაქის საპენსიო უზრუნველყოფა | 46 |

| | |
|---|----|
| კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება და მისი შეწყვეტის საფუძველი | 47 |
|---|----|

4. საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაცია

| | |
|---|----|
| საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობის პრეზუმფცია ამონაწერი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან | 49 |
| რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია | 50 |
| რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადების შედეგები; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება | 51 |

5. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება და რეგისტრაცია

| | |
|--|----|
| მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება | 53 |
| მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის გაუქმება; საკუთრების უფლების შინაარსი | 54 |

6. სახელმწიფო ქონების პრივატიზება და კანონიერ სარგებლობაში არსებული ფართის საკუთრებაში გადაცემა

| | |
|---|----|
| არაპრივატიზებულ საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ (იზოლირებულ და არაიზოლირებულ) ფართზე კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლების მინიჭება | 55 |
| სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება | 56 |
| საქართველოს რესპუბლიკაში ბინის პრივატიზება (უსასყიდლოდ გადაცემა); კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა | 58 |

7. საგადასახადო და საბაჟო დავები

| | |
|---|----|
| სამენარმეო ეკონომიკური საქმიანობა; მენარმე ფიზიკურ პირად ცნობა | 60 |
| ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის დაბრუნება | 61 |
| საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა | 62 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გამოანგარიშება | 63 |

საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა

| | |
|---|----|
| გადასახადის გადამხდელის სამართლებრივი შეცდომის (არცოდნის) ფარგლები | 64 |
|---|----|

| | |
|--|----|
| საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევა | 65 |
| დაჯარიმება გადასახადის გადამხდელთან სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხველი და პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამოვლენის გამო | 66 |
| ელექტრონული ხელმოწერის გარეშე საგადასახადო შეტყობინების გაგზავნა; ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება; ზეპირად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა | 67 |

8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

| | |
|---|----|
| მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება | 68 |
| დაჯარიმება უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის გამო | 69 |
| უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, მათ შორის, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე | 71 |
| დაჯარიმების კანონიერება სამშენებლო დოკუმენტაციითა და სამშენებლო რეგლამენტებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევისა ან/და შეუსრულებლობის გამო | 72 |

9. სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების გამოყენება ადმინისტრაციულ დავებზე

| | |
|---|----|
| სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა | 73 |
| სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა | 74 |
| სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის (სკ-ის 1005.3 მუხლი) | 75 |

ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო ნორმათა დარღვევები

1. ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი

შეჯიბრებითობა და საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ 77

2. პროცესის ხარჯები

სახელმწიფო ბაჟი 78

3. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

მხარეთათვის სასამართლო უწყების გადაცემა;
სასამართლო უწყების ჩაბარება;
შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში;
საჯარო შეტყობინება 79

4. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში

არასათანადო მოპასუხის შეცვლა 80
მესამე პირის ჩაბმა ადმინისტრაციულ პროცესში 81

5. სასამართლო მტკიცებულებები

მტკიცებულებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ 82
სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება 83; 84; 85
ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას 85; 86
დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა 87; 88

6. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და აქტის გამოცემის თაობაზე (შეცილებითი და მავალდებულებელი სარჩელი) 89
სარჩელი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე (მავალდებულებელი სარჩელი) 90
აღიარებითი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში სასამართლოს მიერ სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების დასაშვებობის საკითხი 91

| | |
|---|----|
| სარჩელის დასაშვებობის შემოწმება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში; სარჩელის ტრანსფორმაციის ინსტიტუტის გამოუყენებლობა | 92 |
| სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ახალი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები (ჯარიმის დაკისრებასთან დაკავშირებით) | 93 |
| სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები (თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით) | 94 |
| სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით) | 96 |

7. წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის დაბრუნების შეუძლებლობა

| | |
|---|----|
| გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინება | 97 |
|---|----|

შემოკლება

- ადსკ** – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- აუძთ** – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია
- გადში** – გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ინსტრუქცია
- გსწშ** – საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ
- იხ.** – იხილეთ
- მკდ** – საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილება
- პატკო** – საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი
- პბ** – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება
- პოლშ** – საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ
- პრშ** – საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ
- პუთმ** – პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
- საგკო** – საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- სასა** – საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ
- სასკ** – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
- სახ.ქონ** – საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ
- სბ** – საქართველოს კანონი სახელმწიფო ბაჟის შესახებ
- სზაკ** – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- სკ** – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- სკსას** – საქართველოს კანონი სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ
- სმდ** – საქართველოს მთავრობის დადგენილება
- სრეშ** – საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ
- სრპუგ** – საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის სფეროში უფლებების გარანტიების შესახებ 1997 წლის 16 მაისის შეთანხმება
- სსიპ** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი
- სსკ** – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- სსსგ** – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება
- სსშ** – საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ
- სწშ** – საქართველოს კანონი საალსრულებო წარმოებათა შესახებ
- ტსკ** – საქართველოს კანონი ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ
- უნურ** – საქართველოს კანონი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ
- ფპმნა** – საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ
- შპს** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- შსმპ** – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება
- შსს** – შინაგან საქმეთა სამინისტრო

მუსლოზრივი სანიეზელი

| ნორმატიული აქტი | მუსლი ან № | გვერდი |
|-----------------|------------|------------|
| ადსკ | 10 | 64 |
| | 40 | 68 |
| აუძთ | 8 | 30 |
| გადში | 11 | 67 |
| გსწშ | 21 | 95 |
| მკდ | № 107 | 58 |
| პატკო | 16 | 30 |
| პბ | № 1082 | 40 |
| | № 73 | 55; 58 |
| პოლშ | 22 (ძვ.რ.) | 43 |
| | 30 (ძვ.რ.) | 43 |
| პრშ | 34 | 19; 39 |
| | 38 | 19; 39 |
| პუთმ | 14 | 69 |
| | 44 | 71 |
| | 45 | 72 |
| საგკო | 4 | 62 |
| | 13 | 60 |
| | 36 | 60 |
| | 43 | 18 |
| | 44 | 67 |
| | 51 | 61 |
| | 63 | 61 |
| | 80 | 63 |
| | 85 | 49 |
| | 238 | 62 |
| | 241 | 62 |
| | 269 | 64; 65; 66 |
| | 270 | 18 |
| | 274 | 63 |
| | 275 | 63 |
| | 281 | 65 |
| 286 | 66 | |
| სასა | 77 | 45 |
| სასკ | 4 | 77; 82 |
| | 9 | 78 |
| | 13 | 79 |
| | 14 | 80 |
| | 16 | 81 |
| | 17 | 82 |

| ნორმატიული აქტი | მუსლი ან № | გვერდი | |
|-----------------|-----------------|------------------------|----|
| | 18 | 82 | |
| | 19 | 77; 82; 87 | |
| | 20 | 82 | |
| | 21 | 82 | |
| | 22 | 89 | |
| | 23 | 89; 90 | |
| | 25 | 91 | |
| | 26 ² | 92 | |
| | 28 ¹ | 92 | |
| | 32 | 17; 35; 82; 93; 94; 96 | |
| | სახ.ქონ | 18 | 24 |
| | | 47 | 56 |
| | სბ | 5 | 78 |
| სზაკ | 5 | 17 | |
| | 6 | 41 | |
| | 7 | 18; 19; 35; 39 | |
| | 9 | 20; 67 | |
| | 51 | 17; 67 | |
| | 52 | 17 | |
| | 60 | 20 | |
| | 60 ¹ | 21; 22; 67 | |
| | 61 | 22; 51 | |
| | 65 | 23 | |
| | 67 | 24 | |
| 70 | 25 | | |
| 177 | 21; 26 | | |
| 185 | 28 | | |
| 207 | 29; 30 | | |
| 208 | 31 | | |
| სკ | 18 | 30 | |
| | 128 | 73; 74; 80 | |
| | 130 | 73; 74; 80 | |
| | 170 | 54 | |
| | 312 | 50 | |
| | 316 | 23 | |
| | 317 | 23 | |
| | 411 | 29 | |
| | 413 | 30 | |
| | 999 | 29 | |
| 1005 | 75 | | |

| ნორმატიული აქტი | მუსლი ან № | გვერდი |
|-----------------|-----------------|----------------|
| სკსას | 6 | 47 |
| | 8 | 44 |
| | 12 | 45 |
| | 31 | 47 |
| სმდ | № 189 | 55; 58 |
| სრეშ | 5 | 49 |
| | 11 | 50 |
| | 26 | 51; 54 |
| | 29 | 28 |
| სრპუგ | 4 | 46 |
| სსკ | 71 | 79 |
| | 74 | 79 |
| | 78 | 79 |
| | 85 | 80 |
| | 105 | 83; 84; 85; 88 |
| | 106 | 85; 86 |
| | 173 | 87; 88 |
| | 249 | 92 |
| | 279 | 91 |
| | 377 | 81 |
| 385 | 93 | |
| 394 | 88 | |
| სსსგ | № 2/3/630 | 38 |
| სსშ | 29 | 33 |
| | 30 | 33 |
| | 64 | 34 |
| | 78 | 41 |
| | 97 | 35; 36 |
| | 98 | 37 |
| | 99 | 37; 41 |
| | 104 | 34 |
| | 112 | 38 |
| | 127 | 37 |
| სწშ | 38 | 97 |
| ტსკ | 22 | 69 |
| | 22 ¹ | 69 |
| უნურ | 4 ³ | 49 |
| ფპმნა | 2 | 53 |
| | 4 ¹ | 53 |
| შსმბ | № 997 | 40 |

ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ ნორმათა დარღვევები

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

ძირითადი დებულებანი

ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელება
კანონის საფუძველზე;

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა
და რეკვიზიტები

**ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან გადაწყვეტილების
მიღებისას იხელმძღვანელონ არა მხოლოდ სპეციფიკური სფეროს
მომწესრიგებელი ნორმატიული ბაზით, არამედ ქვეყნის სხვა
სამართლებრივი აქტების სტანდარტების გათვალისწინებით**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2014 წლის 21 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-667-642(კ-
13) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით
(საქმე №3/1741-12, 16.05.13) სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბა-
თილად ცნობისა და ქმედების განხორციელების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1045-13, 04.10.13) უცვლელად დატოვა გა-
საჩივრებული გადაწყვეტილება ისე, რომ არ იმსჯელა ინდივიდუალური ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტის, როგორც ფორმალურ, ისე მატერიალურ კანონიერება-
ზე, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულებაზე, სადავო აქტების სზაკ-
ის ნორმებთან შესაბამისობაზე. არასწორია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ
სადავო აქტები არ წარმოადგენდნენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივ აქტებს და მის გამომცემ ორგანოს არ ჰქონდა ვალდებულება, სზაკ-ით დადგენილი
ნესით გამოერკვია არსებითი გარემოებები.

ასევე, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმაზე, რომ სატენდერო კომი-
სიის სხდომის ოქმის დისკვალიფიკაციის კანონიერების ნაწილში სასარჩელო წარმოება
შენყვეტილია დაუშვებლობის მოტივით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის
20 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით, ვინაიდან დისკვალიფიკაციის შე-
სახებ გადაწყვეტილება, რომელიც ინვესტორს სამართლებრივ შედეგს – არაკეთილსინდისი-
ერ პირთა რეესტრში დარეგისტრირებას, ექვემდებარება სსიპ შესყიდვების სააგენტოს
სამართლებრივ კონტროლს, ყოველგვარი გასაჩივრების უფლების გამოყენების გარეშეც.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სზაკ-ის

5.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება. ადმინისტრაციული ორგანოებისთვის კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებები წარმოადგენს მათ საჯარო ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსიპ შესყიდვების სააგენტოს, როგორც სახელმწიფო შესყიდვების კანონიერებასა და მიუკერძოებლობაზე ზედამხედველობის განხორციელებელი ორგანოს სამართლებრივი კონტროლის ფუნქცია საერთოდ არ არის შესრულებული, შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილების კანონიერებაზე მსჯელობა და დასკვნა არ გამომდინარეობს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების ნამდვილი მიზნიდან და არ ემსახურება კანონმდებლობის ამოცანის – სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიღწევას.

სამართალწარმოებაში ინდივიდუალური აქტების კანონიერების მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციული ორგანოს პროცესუალურ ვალდებულებად არის დადგენილი, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელონ არა მხოლოდ სპეციფიკური სფეროს მომწესრიგებელი ნორმატიული ბაზით, არამედ ქვეყნის სხვა სამართლებრივი აქტების სტანდარტების გათვალისწინებით. დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს სამართლებრივ შედეგს – არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში დარეგისტრირებას, ექვემდებარება სსიპ შესყიდვების სააგენტოს სამართლებრივ კონტროლს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საჩივრის გადასაწყვეტად გამოიყენა არა სზაკ-ის განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა, არამედ წერილის ფორმა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო განკარგულება და წერილი, როგორც კანონსაწინააღმდეგო, სასკ-ის 32.1 მუხლის საფუძველზე ექვემდებარება ბათილად ცნობას, რის გამოც ახალი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო სადავო აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა მოსარჩელის შავი სიიდან ამოღება.

დისკრეციული უფლებამოსილების იზნორირება;

სასამართლო კონტროლისა და უფლებამოსილების საკანონმდებლო ფარგლების გადაცილება

გადასახადის გადამხდელის მიმართ ფულადი ჯარიმის ნაცვლად გაფრთხილების გამოყენება წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების გადაცილებას

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 7.2 მუხლი
- საგადასახადო კოდექსის 43.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი და 270.7 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 2 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-424-419(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2013 წლის 18

დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/3172-13), სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და ბრძანება. მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/411-14, 12.06.14) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ არ დაარღვია საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, კერძოდ, მან საკონტროლო-სალარო აპარატი გამოცვალა 2006 წელს, საიდანაც გასულია კანონით დადგენილი შენახვის 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის მე-7 ნაწილზე და განმარტა, რომ 291-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ფულადი ჯარიმის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება, რის გამოც დაირღვა სზაკ-ის მე-7 მუხლის მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის შეფარდება დაუდგენელი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კანონსაწინააღმდეგოა. სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოსთვის მითითება, რომ მეწარმის მიმართ გამოიყენონ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის მე-7 ნაწილი და გადასახადის გადამხდელის მიმართ ფულადი ჯარიმის ნაცვლად გამოიყენოს გაფრთხილება, კანონშეუსაბამოა და წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების არსისა და ბუნების იგნორირებას და მის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას სასამართლო კონტროლისა და უფლებამოსილების საკანონმდებლო ფარგლების გაცდენას. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო ამონმებს არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ მის კანონიერება-დასაბუთებულობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა;

პროკურატურის მუშაკის პასუხისმგებლობა და პროკურატურიდან დათხოვნა

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი
- პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონის 34-ე და 38.5 მუხლები

ამ თემასთან დაკავშირებით იხ. გვ. 39 საქმე №ბს-525-512 (კ-14)

ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება

ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება, როგორც მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი, ვრცელდება მხოლოდ კეთილსინდისიერ პირზე

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.5 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 3 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-428-423(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/1-14) ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შსს მოადგილის 2013 წლის 24 სექტემბრის ბრძანება, რომლითაც უცვლელად დარჩა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილება და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დაევალა მოსარჩელის სახელზე გასცეს „B“ კატეგორიის მართვის მოწმობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 მაისის განჩინებით (№3ბ/491-14) უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეზე „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემა რომც მომხდარიყო უკანონოდ, მაინც არ არსებობდა მისი, როგორც აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან იგი არ არღვევდა არც სახელმწიფო, არც საზოგადოებრივ და მით უფრო, არც სხვა პირთა კანონიერ უფლებებს და ინტერესებს. გარდა ამისა, მოსარჩელეს, როგორც დაინტერესებულ მხარეს, კანონიერი ნდობა ჰქონდა მასზე გაცემული მართვის მოწმობის მიმართ და ამ მართვის მოწმობის საფუძველზე მან განახორციელა გარკვეული იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება – მართავდა ავტომანქანას, შესაბამისად, მართვის მოწმობის გაუქმებით მას მიაღდა ზიანი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის კანონიერი ნდობის უფლება მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის, სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-60 მუხლის მე-5 ნაწილის ბოლო წინადადებით განსაზღვრული კრიტერიუმის საფუძველზე, რადგან უკანონო აქტის გამოცემა გამოიწვია მოსარჩელის უკანონო ქმედებამ – გაყალბებული მონაცემის (დაბადების თარიღის, პირადობის მოწმობის) წარდგენამ ადმინისტრაციულ ორგანოში. კანონიერი ნდობის უფლების ინსტიტუტით დაცულია მხოლოდ კეთილსინდისიერი პირი, როგორც ვერ დაკვალიფიცირდება მოსარჩელე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი უსაფუძვლობის გამო.

შენიშვნა: ანალოგიურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-229-225(კ-15), 10.12.2015 განჩინება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა;
 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება

დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ აქტი (მისი ნაწილი) კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალოდ ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177.1 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-366-355(2კ-13) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/9550-11) სარჩელი მესამე პირის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 22 სექტემბრის მიწის და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 17 ნოემბრის ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით (№3ბ/821-12) მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს სადავო ოქმი 100 ჰა. მიწის ნაკვეთის მესამე პირისათვის გადაცემის ნაწილში, ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 17 ნოემბრის ბრძანება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოპასუხე მხარისათვის საიჯარო ხელშეკრულების თანახმად გადაცემული მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის შესახებ, დარჩა უცვლელად. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტები გამოცემული იყო „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევით, რამდენადაც მესამე პირის სახელზე სპეციალური აუქციონით პრივატიზებას ექვემდებარებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სზაკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. აღსანიშნავია, რომ საიჯარო მიწის პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზებაზე უარის

თქმის შესახებ აქტი მოსარჩელემ არ გაასაჩივრა და კანონიერ ძალაშია შესული. ამდენად, მან დაკარგა მისთვის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული მიწის პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების კანონით მინიჭებული უფლება. შეფასებას საჭიროებს მოსარჩელის უფლება იჯარით გადაცემული მიწის პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების შესაძლებლობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება და ბათილად ცნობა

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ ინვესტს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61.7 მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-9-9(2კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ (საქმე №3/12-14,27.06.14) რეესტრის ჩანაწერებთან დაკავშირებულ დავაზე ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ და საჯარო რეესტრის სამსახურს დაავალა ახალი გადაწყვეტილების მიღება.

ასევე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/355-14, 10.10.14) ბათილად ცნო სარეგისტრაციო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც უძრავი ქონება დარეგისტრირდა სახელმწიფო საკუთრებად. სასამართლომ გააბათილა უძრავი ქონების პირველ მესაკუთრეზე რეგისტრაცია იმ პირობებში, როდესაც უძრავი ქონება დღეის მდგომარეობით სახელმწიფო საკუთრებაში აღარ ირიცხებოდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სზაკ-ის 61.7 მუხლის მიხედვით, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ ინვესტს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. აქტის გაუქმების მიუხედავად, სზაკ-ის მე-60¹ მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს სზაკ-ის 190-ე მუხლის შინაარსიდან, ანუ წინა რეგისტრაციის უკანონობა თავისთავად არ ინვესტს შემდგომი რეგისტრაციების ბათილობას, შესაბამისი სამართლებრივი საფუძველების კანონიერების გადასინჯვის გარეშე. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც პირს საკუთრების უფლება დაუდგინდა კანონით გათვალისწინებული საფუძველით და მოახდინა მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია უფლების დადგენის დროს მოქმედი კანონით დადგენილი წესის დაცვით, ასეთი უფლება დაცულ უნდა იქნეს მარეგისტრირებული ორგანოს შეცდომისაგან, უფლების დუბლირებისაგან. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების იდენტიფი-

რობა სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან, ხოლო აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგად სასამართლომ უნდა მისცეს მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

ადმინისტრაციული ხელშეკრულება

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება;

ვალდებულების ცნება და მისი წარმოშობის საფუძვლები;
კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების (ბინით დაკმაყოფილების) შესრულება

თუ მოვალე ნებაყოფლობით არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მოთხოვნა ექვემდებარება სასამართლო წესით დაკმაყოფილებას

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.2 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316.3 და 317.1 მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-662-637(კ-13) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალდებულება შეასრულოს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულება ბინით დაკმაყოფილების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე №3/1125-13) სარჩელი არ დააკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1250-13, 31.10.13) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა, რადგან ხელშეკრულებით დადგენილი წესი მოქმედებდა კონტრაქტის მოქმედების პერიოდში და არა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ხოლო მოსარჩელემ ხელშეკრულების შესრულება მოითხოვა კონტრაქტის ვადის გასვლის შემდგომ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სზაკ-ის 65.2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა გამოვლენილი ნების შედეგად დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ხელშემკვრელი მხარეთათვის არის შესაბამისი უფლება-მოვალეობების წარმომშობი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელეს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო არ გააჩნია სამხედრო მოსამსახურის სტატუსი, გავლენას ვერ ახდენს დავის გადაწყვეტის შედეგზე, რადგან უდავოა, რომ მოსარ-

ჩელემ პირნათლად შეასრულა მასზე კონტრაქტით დაკისრებული მოვალეობები და შესაბამისად, როგორც კრედიტორმა უნდა მიიღოს მხარეთა მიერ შეთანხმებული, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. მოვალის ვალდებულება შეესაბამება კრედიტორის მოთხოვნას, რომელსაც სკ-ის 317-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი აქვს. თუ მოვალე ნებაყოფლობით არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მოთხოვნა ექვემდებარება სასამართლო წესით დაკმაყოფილებას. საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი და მოპასუხეს დაავალა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

მესამე პირის მონაწილეობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებაში

ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლი
- „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-308-304(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს სასამართლოს და საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის განკარგულებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მოპასუხეს შორის 2012 წელს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ბათილად ცნობა მოითხოვეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2013 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/1470-13) სარჩელი არ დააკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით (№3ბ/1590-13) გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება მოპასუხისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაცემის ნაწილში და საქართველოს პრეზიდენტს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ამასთან, ბათილად იქნა ცნობილი ნასყიდობის ხელშეკრულება. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ისე, რომ არ გაითვალისწინა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 6 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სზაკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ; ხოლო

ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მესამე პირს, რომლის ინტერესებსაც იგი შეეხება. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელებისათვის საერთოდ არ ყოფილა ცნობილი პრივატიზების პროცესის მიმდინარეობის თაობაზე. საკასაციო პალატამ აგრეთვე განმარტა, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის თანახმად, უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდება არა საქართველოს პრეზიდენტის, არამედ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს განსახილველ შემთხვევაში პრეზიდენტი შეძლებს თუ არა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადება

ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი შემქნის ინსტიტუტი ყოველთვის არ გამოირცხავს ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესაძლებლობას

– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70.2 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 24 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-459-453(3კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/7536-11) ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ და მისი მოქმედების შეწყვეტა განისაზღვრა მისი ბათილად ცნობის დღიდან, ხოლო აუქციონზე გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და მესამე პირის სახელზე გაცემული საკუთრების მონუმბის ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 მაისის განჩინებით (№3ბ/1601-13) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო სარეგისტრაციო გადაწყვეტილების მიღების დღიდან და შესაბამისად, მისი მოქმედების შეწყვეტა განისაზღვრა რეგისტრაციაში გატარების დღიდან. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ქონების კეთილსინდისიერად შექნის გამო არ არსებობს სადავო სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 13 მაისის აუქციონზე გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და 2011 წლის 30 ივნისის საკუთრების დამადასტურებელი მონუმბის ბათილად ცნობის საფუძველი, თუმცა არ იმსჯელა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სზაკ-ის ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი ყოველთვის არ გამოირიცხავს ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესაძლებლობას, ამდენად დაუსაბუთებელია ოქმისა და საკუთრების მონუმობის ბათილად ცნობაზე უარის გამომრიცხავ გარემოებად კეთილსინდისიერ შემძენზე მითითება. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომელიც საფუძვლად დაედო ხელშეკრულებას, დამატებით ქმნის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ხელშეკრულების) სზაკ-ის 70-ე მუხლით გათვალისწინებული ბათილობის საფუძვლებს. აქტის ბათილობის გამოცხადებით დასტურდება, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში საქმეზე თვითმმართველობის ორგანოს სახელზე განხორციელებული სადავო ჩანაწერით არ გაუქმებულა მოსარჩელის სახელზე არსებული ჩანაწერი, ამდენად, სასამართლოს მიერ დადგენილად არის ცნობილი, რომ ერთი და იმავე მიწის ნაკვეთზე განხორციელებულია ორი ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერი. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს თვითმმართველი ერთეულის მოქმედებათა კანონიერება სადავო ობიექტის მიმართ, მათ შორის, ქონების მართვის სააგენტოს მიერ აუქციონის ჩატარების კანონიერება, მონაწილეთა რაოდენობა, პროცედურების დაცვის ხარისხი და ა.შ. მნიშვნელოვანია დადგინდეს, იცოდა თუ არა შემძენმა უფლების რეგისტრაციის ხარვეზის შესახებ, ანუ იცოდა თუ არა შემძენმა, რომ არსებობდა სადავო მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება;

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების თაობაზე საპითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიცირება

სარეკრეაციო ზონაში მდებარე მიწის ნაკვეთი პრივატიზებას არ ექვემდებარება

– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177.2 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-357-353(3კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/3009-13) არ დაკმაყოფილდა სარჩელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უარის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და საქართველოს პრეზიდენტის წინაშე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულე-

ბის მიწის ნაკვეთის საკითხის ინიცირების ან/და წარდგინების დაყენების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მარტის ახალი გადაწყვეტილებით (№33/63-14) ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უარი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების თაობაზე საკითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიცირებაზე; სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალით საქართველოს მთავრობის წინაშე ინიცირებასა და წარდგენის თაობაზე საკითხის არსებითი განხილვა, მოსარჩელეს უარი ეთქვა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობაზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ისევე, როგორც სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ კანონით დადგენილ ვადაში პასუხი არ გასცა განცხადებაში დაყენებულ მოთხოვნას, ეს გარემოება კი სზაკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევას, ე.წ. ვირტუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს* წარმოადგენდა.

არამართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელი ითხოვდა არა პრივატიზებას, არამედ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების განსახორციელებლად, საქართველოს პრეზიდენტის წინაშე საკითხის ინიცირებას ან/და წარდგინებას, შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემსჯელა ამ საკითხზე და არა იმაზე, რომ მის მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი ექვემდებარებოდა თუ არა პრივატიზებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საკითხის გადაწყვეტა, მიმართავს თუ არა ქონების მმართველი ინიცირებით ან წარდგინებით საქართველოს მთავრობას, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს განსახილველ საკითხს. სააგენტო მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას და მხოლოდ საკითხის მის მიერ დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ახორციელებს ინიცირებას. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული მართლმსაჯულების როლსა და ამოცანებს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ სადავო (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების) მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების თაობაზე საკითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიცირებაზე ვირტუალური უარი ცნო უკანონოდ, როგორც საქმის გარემოებების გამოკვლევის გარეშე გამოცემული, მაშინ როდესაც სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ თავისი წერილით მოსარჩელეს აცნობა, რომ ვინაიდან მიწის ნაკვეთი მდებარეობს სარეკრეაციო ზონაში, საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სარეკრეაციო ტერიტორიები პრივატიზებას არ ექვემდებარება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი.

* იგულისხმება ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმა.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი;

მარეგისტრირებელი ორბანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

დაინტერესებული მხარის ინიციატივის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და ბათილად ცნობის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივარი და არა განცხადება

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლი
- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29.3 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-408-403(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების არარა აქტად აღიარება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/31-13) სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით (№3ბ/1193-13) სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; არარა აქტად იქნა აღიარებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება; მოსარჩელეს უარი ეთქვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდებოდა სასამართლო წესით, ამდენად, მოცემულ სადავო შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ გვევლინებოდა სზაკ-ის 60¹.3 მუხლის სუბიექტად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის განმარტების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილ მოსაზრებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, რადგან ადმინისტრაციულ ორგანოსა და პირებს შორის არსებობს უფლებამოსილებათა დისბალანსი, მათ შორის, ურთიერთობა საჭიროებს ეფექტურ კონტროლს, რაც გამოვლენას ჰპოვებს, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაში საკუთარ გადაწყვეტილებებსა თუ მოქმედებებზე განახორციელოს თვითკონტროლი და მეორე მხრივ, იძლევა შესაძლებლობას ამ მოქმედებათა სრული ციკლი მოექცეს სასამართლო კონტროლქვეშ. საკასაციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილების (მათ შორის, საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების) კონტროლის/გადამოწმების შესაძლებლობა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დაინტერესებული მხარის ინიციატივის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და ბათილად ცნობის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული

ციული საჩივარი და არა განცხადება. ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია საჩივარი პასუხობდეს კანონით დადგენილ მთელ რიგ მოთხოვნებს, კერძოდ, დაცული უნდა იყოს საჩივრის წარდგენის ვადა, ფორმა, შინაარსი. გარდა ამისა, სზაკ-ის 185-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოყენებული უნდა იქნეს ამ კოდექსის მე-6 თავით დადგენილი წესები. მოცემულ შემთხვევაში სადავო ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება ყოველგვარი გონივრული ვადის დაცვის გარეშე გაუქმდა, რაც ცალსახად არღვევდა დაინტერესებული მხარის მიერ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ არსებულ კანონიერი ნდობის პრინციპს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის
ანაზღაურებისას;

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

**სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი
ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სატრანსპორტო საშუალების
მფლობელს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი;**

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის სპეციალური
სამედიცინო მომვლელის დანიშვნა შეზღუდული არაა ინვალიდობის
დადგენის მომენტიდან კონკრეტული ვადით**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999.1 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-745-
731(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (საქმე №3/3450-13, 28.03.14) არ დააკმაყოფილა სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, ერთდროული დახმარებისა და მოსარჩელის სიცოცხლის ბოლომდე საყოფაცხოვრებო მომვლელის თანხის დაკისრების, აგრეთვე, მესამე პირისათვის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის კომპენსაციის (ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობის) დაკისრების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/923-14, 14.08.14) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ერთჯერადი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით, სარჩელი სასამართლოში აღძრა ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, რის გამოც მოთხოვნა მიიჩნია ხანდაზმულად სკ-ის 128.3 მუხლის საფუძ-

ველზე. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე დაინვალიდდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ავტოკატასტროფის შედეგად, თუმცა მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება თავდაცვის სამინისტროს ბრალეული ქმედებით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. ასევე, არ გაითვალისწინა სკ-ის 411-ე და 999.1 მუხლების მოთხოვნები და არ იმსჯელა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობებზე და შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ არ დასტურდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრალეული ქმედებით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც სააპელაციო პალატის აზრით გამორიცხავდა სამინისტროსთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონი სპეციალური სამედიცინო მომვლელის დანიშვნას არ ზღუდავს ინვალიდობის დადგენის მომენტიდან კონკრეტული ვადით. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით სათანადო საჭიროებისას პირს აქვს შესაძლებლობა მისთვის მისაღებ დროს მოითხოვოს სამედიცინო მომვლელის დანიშვნა და ეს მოთხოვნა არ არის დაკავშირებული მოთხოვნის წარმოშობის მომენტის ხანდაზმულობასთან. პალატამ განმარტა, რომ სატრანსპორტო საშუალების მართვის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების თავისებურებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა ზიანისათვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი, ხოლო ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი და ნაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება
ადმინისტრაციული ორბანოს მიერ მიყენებული ზიანის
ანაზღაურებისას;

მორალური ზიანის სამართლიანი ანაზღაურება პირადი
არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის

სასჯელალსრულების ადმინისტრაციის მხრიდან ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს მიერ პატიმრისათვის გაგზავნილი
კორესპონდენციის ხელშეუხებლობის დარღვევა

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლები
- პატიმრობის კოდექსის 16.6 მუხლი
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-661-
646(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.02.2014 წ. გადაწყვეტილებით (საქმე

№ 3/2380-13) სარჩელი მოპასუხე საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 300 ლარის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2014წ. განჩინებით (№3ბ/402-14) უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.02.2014წ. გადაწყვეტილება. პალატამ მიუთითა, რომ დაკისრებული კომპენსაცია ატარებს მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს და სასამართლოს მიერ განიხილება როგორც ხელყოფის მსგავსი ფაქტების გამორიცხვის ერთგვარი პრევენცია, შესაბამისად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული თანხის ოდენობა სრულად პასუხობს კომპენსაციის მიზანს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება:საკასაციო სასამართლოს აზრით, ორი სასამართლო ინსტანციის მიერ განსაზღვრული თანხა ვერ უზრუნველყოფს მორალური ზიანის სამართლიან ანაზღაურებას, მართლმსაჯულების ეფექტურობას, უგულვებელყოფს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნას, ფორმალურს ხდის მართლმსაჯულების განხორციელებას, უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივ დაცვას, არ ემსახურება დარღვევის პრევენციას.სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე და მე-18 მუხლების საფუძველზე მიიჩნია, რომ სახეზეა დელიქტი, რომელსაც მოჰყვა ისეთი მორალური ზიანი, რომლის დადგომის შემთხვევაში კანონმდებელი ითვალისწინებს მისი ანაზღაურების შესაძლებლობას. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა დაარღვია პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნები. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვედა ინსტანციების სასამართლოების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 300 ლარი დამდგარი მორალური ზიანის სამართლიანი და გონივრული ანაზღაურებაა, რის გამოც მიიჩნია, რომ სამართლიანი კომპენსაციის ოდენობა 1 000 ლარით უნდა განისაზღვროს. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით შეცვალა დაკისრებული მორალური ზიანის ოდენობა.

სახელმწიფო ორბანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი

ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას უნდა დადგინდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კანონით განსაზღვრული აუცილებელი პირობების არსებობა

– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-134-132(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/4947-13) ბანკის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მატერიალური ზიანის სახით თანხის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით (№33/580-14) უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის (ბანკი) შემთხვევაში არ არსებობს დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისთვის სკ-ის 992-ე მუხლით დადგენილი წინაპირობებიდან არც ერთი წინაპირობა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სკ-ის 415-ე მუხლსა და 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და მიიჩნია, რომ აპელანტმა თავისივე უმოქმედობით, ანუ საჯარო რეესტრის მწარმოებელი ორგანოდან შესაბამისი შინაარსის, სრულყოფილი ინფორმაციის არგამოთხოვით, ასევე უსაფუძვლო ვარაუდით მასზედ, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის წერილში ასახული იყო ინფორმაცია მესამე პირის ქონების მიმართ როგორც ყადაღის და გირავნობის, ისე – საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების შესახებ, თავადვე შეუწყო ხელი მატერიალური ზიანის წარმოშობას, რაც გამორიცხავდა მოპასუხისადმი ნაყენებული პრეტენზიის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგნენ სარეგისტრაციო სამსახურის ქმედების კანონიერების შეფასებას, რითაც წინააღმდეგობაში მოვიდნენ საჯარო რეესტრის საქმიანობის მიზნებსა და პრინციპებთან და შექმნეს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ არასწორი პრაქტიკის დამკვიდრების ტენდენცია. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას გადამწყვეტია დადგინდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კანონით განსაზღვრული აუცილებელი პირობების არსებობა. სზაკ-ის 208-ე მუხლი ადგენს საჯარო მოხელის ქმედებით ან გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებას. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კი აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ქმედება, რამაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვა, დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ამ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა მიმართული უნდა იყოს სხვა პირის უფლებების შელახვისკენ, სახეზე უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის ბრალი და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას უნდა შეაფასოს ბანკისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი გამოწვეულია თუ არა უშუალოდ სარეგისტრაციო სამსახურის ქმედებით.

2. საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ღაპები

თანამდებობაზე კონკურსის წესით და უკონკურსოდ დანიშვნა

– „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30.1. „თ“ მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 2 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-629-616(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/4075-13) არ დააკმაყოფილა სარჩელი სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (3ბ/348-14, 07.05.2014) სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელე 2010 წელს თანამდებობაზე დანიშნული იყო უკონკურსოდ, განუსაზღვრელი ვადით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანების გამოცემის დროისათვის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, უკონკურსოდ, განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოხელე მიიჩნია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის სუბიექტად. მოსარჩელის ძირითადი არგუმენტი, რომ მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა აუდიტორის თანამდებობას, უარყო, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი გადაყვანა ახალ თანამდებობაზე კანონიერად მიიჩნია, თუმცა გადაყვანის აქტი ცნო ბათილად ფაქტობრივად იმ საფუძველით, რაზეც მოსარჩელე არ აპელირებდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის პირობებში სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა, თუ რატომ არ არსებობდა იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობასა და წამყვანი აუდიტორის თანამდებობისათვის დადგენილ თანამდებობრივ სარგოებს შორის სხვაობის ანაზღაურების საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე წამყვანი აუდიტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად, პირადი განცხადების საფუძველზე. სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მისი ნების გამოვლენა უკავშირდებოდა მხოლოდ წამყვანი აუდიტორის თანამდებობიდან გათავისუფლებას, რის გამოც იგი აღდგენილ უნდა იქნეს პირვანდელ თანამდებობაზე.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მიუხედავად მოსარჩელის არგუმენტებისა, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო გადაყვანილი წამყვანი აუდიტორის თანამდებობაზე, რამდენადაც მას არ გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია აღნიშნულ თანამდებობაზე გამწესებისათვის, თანხმობის გაცხადებით მან გამოხატა ნება გადაყვანაზე. ამდენად, არათანმიმდევრულია მოსარჩელის არგუმენტაცია გადაყვანის არაკანონიერებასთან დაკავშირებით იმ ვითარებაში, როდესაც ნების გამოხატვის გამომრიცხავ გარემოებებზე მისი მხრიდან მითითებული არ ყოფილა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას, რამდენადაც უნდა აღმოიფხვრას სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგობრიობა.

სამსახურებრივი შეუთავსებლობა;
განთავისუფლება სამსახურში მიღებისას დადგენილი
მოთხოვნების დარღვევისათვის

**საჯარო მოსამსახურეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, აღმოფხვრას
განთავისუფლების მიზეზები, საფუძვლები, რომ მისი საჯარო-
სამსახურებრივი საქმიანობა კანონით გათვალისწინებულ ჩარჩოში
მოექცეს**

– „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64.1 და 104-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2014 წლის 29 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-69-67(კ-
14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის 2013 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №3/16-2013) არ დაკმაყოფილდა სარჩელი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1288-13, 12.03.14) ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა; ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება მოსარჩელის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; იგი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 64.1 და 104-ე მუხლები და იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა არა სახელმწიფო, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს, არ მიიჩნია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის აღნიშნული მუხლების სუბიექტად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მიზანი არის საჯარო სამსახურისა და მთლიანად საჯარო მმართველობის დაცვა სამსახურებრივი შეუთავსებლობის შემთხვევებისაგან. ეს სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების კეთილსინდისიერი მსახურების სტანდარტი, თანაბრად ვრცელდება საჯარო სამსახურის ორივე სახის – სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურის მიმართ. სადავო ბრძანებით დარღვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი დანაწესი. საჯარო მოსამსახურეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, აღმოფხვრას განთავისუფლების მიზეზები, საფუძვლები, რომ მისი საჯარო-სამსახურებრივი საქმიანობა კანონით გათვალისწინებულ ჩარჩოში მოექცეს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, შრომა თავისუფალია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო, პროფესია, თავად გადაწყვიტოს იყოს თუ არა დასაქმებული და სად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამსახურიდან განთავისუფლება შემცირებასთან დაკავშირებით;
საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა

არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენას არ აბრკოლებს მის ნაცვლად ახალი მოხელის დანიშვნა

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97.1 მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-755-741(კ-კს-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ცაგერის რაიონულმა სასამართლომ 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/5) ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ ბრძანება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ცნობილი იქნა არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად; მოსარჩელე აღდგენილ იქნა თანამდებობაზე; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდურის ანაზღაურება სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; ხოლო მორალური ზიანისა და საშვებულებო თანხის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (3/ბ-350-14,22.09.2014) სააპელაციო საჩივრის განხილვისას საფუძვლიანად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო სამუშაოზე აღდგენის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ გაიზიარა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი ცაგერის მუნიციპალიტეტის ახლად არჩეული გამგებლის წერილი, რომლის თანახმად, გამგეობა თანხმობას აცხადებდა მოსარჩელე აღდგენა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. სასამართლომ საქმე განიხილა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97.1 მუხლისა და სზაკ-ის მე-7 მუხლის მოთხოვნების უგულვებელყოფით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სზაკ-ის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელის მიმართებაში, მით უფრო, იმ ვითარებაში, როცა მუნიციპალიტეტი გამოხატავდა ნებას მოსარჩელის იმავე თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენას არ აბრკოლებს მის ნაცვლად ახალი მოხელის დანიშვნა. გარდა ამისა, აღნიშნული საკითხის განხილვისას შესაძლოა ადმინისტრაციულ ორგანოსა და მოხელის შეთანხმებით მოხდეს არა ზუსტად იმავე, არამედ ალტერნატიული თანამდებობის შეთავაზება, რაც ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

სამსახურიდან გათავისუფლება შემცირებასთან დაკავშირებით

სარჩელის საფუძვლიანობის გასარკვევად აუცილებელია იმის დადგენა, რეორგანიზაციის შემდეგ არსებობს თუ არა იმავე ფუნქციური დატვირთვის მქონე საშტატო ერთეულები

– „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-449-442(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრისა და 19 დეკემბრის გადაწყვეტილებებით (საქმე №3/7-2014) მოსარჩელეთა სარჩელები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 12 მარტის განჩინებით (№3/ბ-34-2015) უცვლელად დარჩა მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრისა და 19 დეკემბრის გადაწყვეტილებები. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, უდავოა, რომ ადგილი ჰქონდა გამგეობის სტრუქტურის ცვლილებას, რასაც შედეგად მოჰყვა ტერიტორიული ორგანოების (სტრუქტურული ერთეულების) გაუქმება. სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია, ამ სამსახურებრივი ფუნქციების დაკისრებით გამგებლის წარმომადგენელი ასრულებდა თუ არა თვისობრივად იმავე მოვალეობებს, რასაც რწმუნებული.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შედეგად შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ იყოს იმავე იერარქიულ საფეხურზე, თუნდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და ითვალისწინებდეს იმავე უფლება-მოვალეობების შესრულებას, შესაბამისად, კონკრეტული თანამდებობების იდენტიურობის დადგენის მიზნით უნდა შეფასდეს: ა) მათი ადგილი ადმინისტრაციული ორგანოს სამსახურებრივ იერარქიაში; ბ) ძირითად უფლებამოსილებათა წრე. ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ფორმალურად ზოგიერთი ფუნქციის მოკლება ან რაიმე უმნიშვნელო მოთხოვნის დამატება მდგომარეობას არ ცვლის; გ) მოთხოვნები, რომლებიც რეორგანიზაციის შემდგომ საჭიროა კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად; დ) ზოგიერთ შემთხვევაში – შრომის ანაზღაურება. მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების საფუძველზე, გამგებლის წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას გარკვეული ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში ასრულებს, ამდენად, ტერიტორიული დაყოფის პრინციპი კვლავაც შენარჩუნებულია, თუმცა შესაფასებელია, მოქმედებენ თუ არა გამგებლის წარმომადგენლები იმავე ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც რწმუნებულები. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე უნდა გაირკვეს, რეორგანიზაციის შემდეგ არსებობს თუ არა იმავე ფუნქციური დატვირთვის მქონე საშტატო ერთეულები, რაც ეკავათ მოსარჩელებს, მათი სტატუსი, უნდა დადგინდეს, აქვს თუ არა ადგილი დანესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის მიმართ ფუნქციონალურ-კომპეტენციური მოთხოვნების გაზრდას და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდეს სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი, რის გამოც გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად.

სამსახურიდან განთავისუფლება დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო

სამსახურიდან განთავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის;

სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული დარღვევა განსხვავდება არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო თანამდებობრივი შეუსაბამობისაგან;

სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლი
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლი
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127.5 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-161-158(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს 29.09.2014წ. გადაწყვეტილებით (საქმე №3/3-2014) სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმეზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.12.14წ. განჩინებით (№3ბ/1574-14) უცვლელად დარჩა სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს 29.09.2014წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს არა მხოლოდ იმაზე, თუ რაში გამოიხატა კონკრეტულად მოსარჩელის მხრიდან სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა თუ არაჯეროვანი შესრულება, არამედ იმაზეც, შეიცავდა თუ არა მისი ქმედება ისეთი სახის უხემ დარღვევებს, რაც მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე სამსახურიდან პირდაპირ განთავისუფლების საფუძველს ქმნიდა. თუმცა არ შეაფასა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ 99-ე მუხლის გამოყენების კანონიერება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დისციპლინური გადაცდომა, სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული დარღვევა განსხვავდება არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო თანამდებობრივი შეუსაბამობისაგან. არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო გათავისუფლების საფუძველი („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლი) განსხვავდება დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება ფაქტობრივად მოხდა არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო, მიუხედავად ამისა, სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლი. შესაბამისად, სახეზეა სზაკ-ის მე-60¹ მუხლით

გათვალისწინებული სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას.

საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო გასაჩივრებული ბრძანება, აღადგინა მოსარჩელე სამსახურში, მოპასუხეს დაევალა აუნაზღაუროს მოსარჩელეს იძულებითი განაცდური – სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე.

მოთხოვნის უფლება სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება №2/3/630

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-560-553(2კ-კს-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (საქმე №3/4236-14, 06.03.15) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, მოპასუხეს დაავალა მოსარჩელის გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და არა უმეტეს 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/803-15, 23.07.15) სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასაბუთება და უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება №2/3/630 „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის მეორე წინადადების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული აქტი მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ბათილადაა ცნობილი და ეს უკანასკნელი სასამართლომ დაკავებულ თანამდებობაზე აღადგინა. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებულია მისი გათავისუფლების უკანონობა და ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საფუძველი, რაც მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობდა. საკასაციო სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლება მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე გათვალისწინებულია რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც, რის გამოც მიიჩნია, რომ მოსარჩელეს სრულად უნდა აუნაზღაურდეს იძულებით განაცდური თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

შენიშვნა: ანალოგიურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-718-704(კ-7კს-14), 06.10.15 გადაწყვეტილება.

პროკურატურის მუშაკის პასუხისმგებლობა და პროკურატურიდან დათხოვნა;

საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა

დისციპლინური სახდელის შეფარდებისას აუცილებელია თანაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვა

- „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე და 38.5 მუხლები
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-525-512(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე № 3/5054-13) არ დააკმაყოფილა სარჩელი პროკურატურიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანების ბათილად ცნობის, რაიონული პროკურატურის პროკურორის თანამდებობაზე აღდგენისა და მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/606-14, 19.06.2014) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ისე, რომ არ გაითვალისწინა „პროკურატურის შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის მოთხოვნა და გადაწყვეტილების კანონიერება დაასაბუთა მხოლოდ პროკურატურის დისკრეციული უფლებამოსილების არსებობით და არ გამოარკვია, თუ როგორ განახორციელა ადმინისტრაციულმა ორგანომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება. სადავო ბრძანება არ შეიცავდა დასაბუთებას მოსარჩელის მიმართ ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელის – პროკურატურიდან დათხოვნის გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს მთავარი პროკურორი სადავო გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მისი მხრიდან სადავო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემისას სრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და სათანადო შეფასების შედეგად გამოიკცა აქტი მოსარჩელესთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პროკურატურიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძველები განსაზღვრულია „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, რომლითაც პროკურატურის მუშაკის პროკურატურიდან დათხოვნის ერთ-ერთ საფუძველს სამსახურებრივი დისციპლინის უხეშად ან სისტემატურად დარღვევა წარმოადგენს. იმავე კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელებია: შენიშვნა; საყვედური; უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე გადაყვანა; თანამდებობიდან განთავისუფლება; პროკურატურიდან დათხოვნა. ამდენად, ნორმაში აღტერნატიული სანქციის არსებობა მიუთითებს უფრო მკაცრი სახის სახდელის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად მკაცრი სახის სანქცია ვერ უზრუნველყოფს სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში დაუსაბუთებელია მოსარჩელის მიმართ უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენება რატომ ვერ უზრუნველყოფდა მოსარჩელის მიერ ჩადენილი გადაცდომისთვის სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სზაკ-ის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს

დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას. შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოსარჩელის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდებისას, აუცილებელია ყურადღება მიექცეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს, დაცულია თუ არა მის მიმართ ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენებით თანაზომიერების პრინციპი.

საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასკის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი მოსარჩელის პროკურატურიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანება; საქართველოს მთავარ პროკურატურას უნდა დაევალოს საკასაციო სასამართლოს მიერ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, თანაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვით, კანონით დადგენილი წესით გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა
სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის
ბანსაზღვრის წესი;**

**შსს-ს მოსამსახურეთა ერთჯერადი (ბასასვლელი) დახმარების
ანაზღაურება**

**დავის გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების
დადგენას, მიმართა თუ არა მოსარჩელემ კანონის მოწმედების პერიოდში
ადმინისტრაციულ ორგანოს ერთჯერადი დახმარების ანაზღაურების
მოთხოვნით**

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანება;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების მე-11 პუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-774-760(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (საქმე №3/371-14, 10.06.14) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი შსს სამინისტროს მიმართ ერთდროული (გასასვლელი) დახმარებისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1373-14, 28.10.14) სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასაბუთება; უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს განმარტებას, იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ მისი უფლების რეალიზაცია, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ერთდროული (გასასვლელი) დახმარების მოთხოვნა, განახორციელა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს“ მიმართ.

ნაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების მე-11 პუნქტის მოქმედების პერიოდში – 2014 წლის 6 იანვარს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულებით განსაზღვრული საკითხები დარეგულირდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებით, რომელიც არ ითვალისწინებდა ერთდროულ (გამოსასვლელ) დახმარებას. საქართველოს პრეზიდენტის №1082 ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა 2014 წლის 1 იანვრიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკულად მე-11 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებულ ნამსახურობის წლების მიხედვით კომპენსაციის სახით ერთდროული (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების გაუქმება მოხდა ისე, რომ მისი მოქმედება არ ყოფილა დაშვებული აქტის მოქმედების არც ერთ ეტაპზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და არ დააკმაყოფილა სარჩელი ერთდროული (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის;

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლები

დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე და 99-ე მუხლები
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 24 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-226-222(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/7-12) სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება მოსარჩელის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 4 დეკემბრის განჩინებით (3ბ/1191-14) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯან-

მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი გათავისუფლების დროს დარღვეული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის პრინციპები, რამდენადაც მითითებული კანონი მოხელის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის პირობებში ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, კონკრეტული სამართალდარღვევის გამო, მოახდინოს ამ სამართალდარღვევის ადეკვატური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება, თუ რომელი დისციპლინური სახდელი შეუფარდოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუმცა, ადმინისტრაციის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პირობებში, აქტის გამოცემის შემთხვევაში ეს უკანასკნელი შეზღუდულია კანონის მოთხოვნის ფარგლებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, სასამართლო სხდომაზე ზოგიერთმა მოწმემ ნაწილობრივ შეცვალა ჩვენება, მაგრამ არც ერთს არ უარყვია ის ფაქტი, რომ მოსარჩელე იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და შეურაცხყოფას აყენებდა თანამშრომლებს. ამდენად, სახელმწიფო ორგანოებისა თუ თანამშრომლების შეურაცხყოფა, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, მოქცეულ უნდა იყოს ზნეობის ჩარჩოებში, არ უნდა შეიცავდეს შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს და არ უნდა ისახავდეს მიზნად კონკრეტული საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომის სახეებს, რომლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ. სწორედ ხსენებულ ნორმაზე უთითებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის ბრძანება მოსარჩელის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენებისას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე, 99-ე მუხლებით მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი უფლებამოსილი იყო გამოეცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი სადავო აქტის ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

შსს-ს მოსამსახურის პასუხისმგებლობა და სამსახურიდან დათხოვნის წესი

შსს-ს მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნა შესაძლებელია სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევისათვის

– „პოლიციის შესახებ“ (27.07.1993 წ.) საქართველოს კანონის 30-ე მუხლი* და 22-ე მუხლი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-664-649(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №3/3943-13) სარჩელი შსს გენერალური ინსპექციის დასკვნის, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ივლისის ახალი გადაწყვეტილებით (№3B/850-14), სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შსს სამინისტროს (მინისტრის) ბრძანება; მოპასუხეს – საქართველოს შსს-ს დაევალა მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს არც ბრძანება და არც გენერალური ინსპექციის დასკვნა არ შეიცავს მსჯელობას მასზე, რომ ჩადენილი გადაცდომა არის მძიმე, რომ გადაცდომამ გამოიწვია მძიმე შედეგები, აგრეთვე მოსარჩელეს გააჩნია უარყოფითი საქმიანი და პირადი რეპუტაცია და ამ პირობათა ერთიანობის ფონზე იგი იმსახურებს ყველაზე მკაცრ სასჯელს. სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნები და განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი კი ამავე კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ დანესებულების მიერ მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი განსაზღვრავს სამინისტროს მოსამსახურის პასუხისმგებლობის სახეებს, რომლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურიდან დათხოვნა წარმოადგენს სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის სამინისტროს მოსამსახურის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეს. აღნიშნული სახდელის გამოყენების წესი კი მოცემულია 22-ე მუხლში, რის გამოც სამინისტროს მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნა შესაძლებელია: სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევისა და ფიცის გატეხისათვის, პოლიციელისთვის შეუფერებელი საქციელისათვის. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სა-

* პოლიციის შესახებ ახალი კანონის (04.10.2013) 59-ე მუხლი
 ** პოლიციის შესახებ ახალი კანონის (04.10.2013) 41-ე მუხლი

სამართლომ, მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების შეჯერების საფუძველზე, ჩადენილი გადაცდომის შინაარსისა და სიმძიმის გათვალისწინებით, თავად უნდა განსაზღვროს გამოყენებული პასუხისმგებლობის ადეკვატურობა და მიიღოს არსებითი გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

3. სოციალური უზრუნველყოფის საკითხები

სამხედრო მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების განმსაზღვრელი პირობები

ნამსახურების პენსიის მიღების უფლება უცვლელი რჩება კანონში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად

- „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 8.2 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-427-422(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/339-13) არ დაკმაყოფილდა სარჩელი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშების დავალების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/579-14, 29.05.14) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ისე, რომ არ გაითვალისწინა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 8.2 მუხლის დანაწესი, ზუსტად არ დაადგინა წელთა ნამსახურება და სტაჟის შეღავათიანი გაანგარიშების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 8.2 მუხლის დანაწესის თანახმად, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც აქვთ ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურების 20-ზე ნაკლები კალენდარული წელი, ამ მუხლის მიზნებისათვის ზემოაღნიშნულ ორგანოებში ნამსახურების წლებად განესაზღვრათ 20 წელი. საკასაციო სასამართლომ გადაანგარიშებაზე უარის თქმის ყველა საფუძლის სათანადო შეფასების მიზნით საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

მოსამართლის კომპენსაციის გაანგარიშება

სამოსამართლო უფლებამოსილების 24 წლის განმავლობაში განხორციელება არა მხოლოდ განამტკიცებს კომპენსაციის მიღების უფლებას, არამედ გავლენასაც ახდენს კომპენსაციის ოდენობაზე

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77.2 მუხლი
- „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.2 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-707-693(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/34-13), სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონული განყოფილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული აქტები, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონულ განყოფილებას ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით (№3ბ/1424-13) გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა. სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77.2 მუხლი, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12.2 მუხლი, რის შედეგად მიიჩნია, რომ მოსარჩელე არ გვევლინება ამ სამართლებრივი ნორმის სუბიექტად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაუშვებელია მოსარჩელეს კომპენსაციის დანიშვნაზე უარი მხოლოდ იმ საფუძვლით ეთქვას, რომ მან სამოსამართლო უფლებამოსილების ამონურვისა და სასამართლოს ლიკვიდაციის შემდგომ კვლავ განაგრძო სამოსამართლო საქმიანობა. მოსარჩელის მიერ 24 წლის განმავლობაში სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება არათუ განამტკიცებს კომპენსაციის მიღების უფლებას, არამედ იგი გავლენას ახდენს კომპენსაციის ოდენობაზე. საკასაციო სასამართლომ სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბათილად ცნო გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა კომპენსაციის არსისა და მისი დანიშვნის მიზნებიდან გამომდინარე, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემა მოსარჩელისათვის კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქის საპენსიო უზრუნველყოფა

რუსეთის მოქალაქეების, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიაზე აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

- „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის სფეროში უფლებების გარანტიების შესახებ“ 1997 წლის 16 მაისის შეთანხმების მე-4 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-484-477(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/4037-14) სარჩელი მოპასუხისათვის მიუღებელი პენსიის დაკისრებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან სარჩელი არასათანადო მოპასუხის წინააღმდეგ იყო აღძრული, მოსარჩელემ კი უარი განაცხადა სათანადო მოპასუხით შეცვლაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 მარტის განჩინებით არასათანადო მოპასუხე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეიცვალა სათანადო მოპასუხით – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოთი. ამავე სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის ახალი გადაწყვეტილებით (№3ბ/182-15) სარჩელი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ არ დაკმაყოფილდა. პალატამ აღნიშნა, რომ 2012 წლის პირველ სექტემბრამდე მოქმედი რედაქციით „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით პენსია საქართველოში დაენიშნებოდა იმ შემთხვევაში, თუ პენსიის დასანიშნად მომართვამდე ბოლო 10 წელი მუდმივად ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე, დადგენილი ჰქონდა მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამონატყული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და წარმოდგენილი ჰქონდა ცნობა პენსიის მიუღებლობის შესახებ იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც ის იყო. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის პირველ მუხლზე, „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის სფეროში უფლებების გარანტიების შესახებ“ 1997 წლის 16 მაისის შეთანხმების მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ პასუხობდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, არ იყო დადასტურებული პენსიის დანიშვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმის (საქართველოში 10 წლით მუდმივად ცხოვრების ფაქტი) არსებობა, შესაბამისად, პენსიის დანიშვნის საფუძველი არ არსებობდა. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა შეთანხმების მე-4 მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საერთაშორისო ხელშეკრულებას/შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ტრავმა მიიღო საქართველოში, სადაც დადგინდა მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსიც, ამდენად, მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მას უნდა წარედგინა ცნობა რუსეთში პენსიის მიუღებლობის თაობაზე, საფუძ-

ველს მოკლებულია. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართლის ნორმებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას მოქმედებს უფრო ზემდგომი ნორმატიული აქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით ან სხვა საკანონმდებლო აქტით უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის გათვალისწინებული განსხვავებული შეზღუდვები „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის სფეროში უფლებების გარანტიების შესახებ“ 1997 წლის 16 მაისის შეთანხმებასთან მიმართებით არ გამოიყენება. კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი შეზღუდვა, დათქმა ან წინაპირობა, რომელიც არ ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, არ შეიძლება, ამ შეთანხმების ფარგლებში, გავრცელდეს რუსეთის მოქალაქეებზე. ამდენად, დათქმა, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში აქცევს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეებს (ამ შეთანხმებიდან გამომდინარე), პენსიის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტილას იურიდიული ძალის არმქონეა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე.

კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება და მისი შეწყვეტის საფუძველი

თუ პირს კომპენსაციაზე უფლება ძველი წესით აქვს მოპოვებული, კანონში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, მას კომპენსაციის მიღების უფლება დარჩება, როდესაც კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი აღარ არსებობს

- „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი
- „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-77-75(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/1396-14) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და მისთვის სახელმწიფო კომპენსაციის აღდგენის დავალების შესახებ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ნოემბრის განჩინებით (№3ბ/1301-14) უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება. სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორ-

ციელების პერიოდში.

სასამართლოს მოსაზრებით, რადგან უშუალოდ სსიპ სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი არ წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, ამიტომ მასში დასაქმებულ პირებზე ვერ გავრცელდება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელისათვის კუთვნილი კომპენსაციის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან ის არ ახორციელებდა საჯარო საქმიანობას. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს კომპენსაციის მიღებაზე ხელახლა უფლების მოპოვების შემთხვევა. მოსარჩელემ უფლება კომპენსაციაზე ძველი წესით მოიპოვა და მას კომპენსაციის მიღების უფლება არ დაუკარგავს. კომპენსაციის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველად „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი საჯარო საქმიანობის განხორციელებას განსაზღვრავს, თუმცა განსახილველ შემთხვევაში კომპენსაციის შეწყვეტა თავისი არსით კომპენსაციის შეჩერებას გულისხმობს, შესაბამისად, მოსარჩელე იმ უფლებებში უნდა აღდგეს, რაც მას უკვე მოპოვებული ჰქონდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი არ არსებობდა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, კანონის ამოქმედებამდე საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, დანიშნული კომპენსაციების გაცემა, რომელთა მიღებას არ ითვალისწინებს ეს კანონი, გაგრძელდა ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობით მისი მიღების შეწყვეტის საფუძველების წარმოშობამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და მოპასუხეს დაევალა შეწყვეტილი სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა.

4. საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაცია
საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობის
პრეზუმფცია

ამონაწერი უძრავ ნივთიებზე უფლებათა რეესტრიდან

უძრავ ნივთებზე გარიგებისა და სხვა სამართლებრივი მოქმედების
განხორციელებისას მასზე დაინტერესებული პირის უფლებამოსილება
დგინდება მხოლოდ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი
- „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის მე-4³ მუხლი*
- საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-383-372(4კ-13) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის დავალებულება საჯარო რეესტრის ჩანაწერში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/3542-12) სარჩელი არ დააკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/285-13, 29.04.13) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით რეგლამენტირებული პრეზუმფცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის მიმართ, იხელმძღვანელა საგადასახადო კოდექსის 85.7 მუხლით და განმარტა, რომ რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობა სხვა მფლობელისათვის ქონების გადაცემისას მხოლოდ იმ შემთხვევაში არ ინარჩუნებს ძალას, თუ გირავნობის უფლება გაუქმებულია, ამდენად, კანონმდებელი აღნიშნული შეზღუდვის გავრცელებას ახალი მფლობელისათვის გადაცემულ ქონებაზე არ უკავშირებს ამის თაობაზე მის ინფორმირებულობას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 2006 წლის მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტი საჯარო რეესტრიდან ამონაწერს განმარტავდა, როგორც უძრავ ნივთზე გარიგებისა და სხვა სამართლებრივი მოქმედებისას საკუთრების ან სხვა სანივთო და ვალდებულებითი უფლების რეგისტრაციის დამადასტურებელ ერთადერთ დოკუმენტს, კანონის აღნიშნული დათქმა უდავოდ მოიცავს საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის თაობაზე დაინტერესებული პირის ინფორმირებულობას. მომზადებული ამონაწერის დროს მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის მე-4³ მუხლის თანახმად, ამონაწერი ასახავდა მისი მომზადების მომენტისათვის უძრავ ნივთებზე უფლებათა, ყადაღის, საგადასახადო გირავნობის/იპო-

* ამ საკითხს ამჟამად აწესრიგებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

თეკისა და საკუთრების უფლებების მიტოვების შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით კი უძრავ ნივთზე გარიგებისა და სხვა სამართლებრივი მოქმედების განხორციელებისას, გარდა მემკვიდრეობის უფლების დადგენისა, მასზე დაინტერესებული პირის უფლებამოსილება დგინდება მხოლოდ ამონაწერით. ამიტომ მოქალაქის ნდობა მმართველობის ორგანოს ქმედებაზე უფრო მეტად მნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს, ვიდრე ის ინტერესი, რომელსაც იცავს ადმინისტრაციული ორგანო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

რეესტრის მონაცემთა უზუსტობისა და სისრულის პრეზუმფცია

შემძენს, თავის უფლების დასამტკიცებლად, შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს; რეესტრის უზუსტობის ფიქციას არღვევს მხოლოდ შემძენის არაკეთილსინდისიერებაა

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-125-122(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/4346-13) არ დაკმაყოფილდა სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1214-13, 11.12.13) სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება, რომლის შეზღუდვა დადგინდა ისე, რომ იგი სარჩელის ობიექტი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა ადმინისტრაციული სარჩელის მეშვეობით, ასევე დარღვეულია სკ-ის 312-ე მუხლით დადგენილი სტანდარტი საჯარო რეესტრის მონაცემების უზუსტობისა და სისრულის პრეზუმფციასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არასწორად გამოიყენა და განმარტა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების უფლებრივ მდგომარეობას, შემძენს თავის უფლების დასამტკიცებლად, შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს, თუნდაც სინამდვილეში არასწორი იყოს რეესტრის მონაცემები. ერთადერთი, რაც რეესტრის უზუსტობის ფიქციას არღვევს, შემძენის არაკეთილსინდისიერებაა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეესტრის ჩანაწერის სისწორეზე დაყრდნობისას უნდა შემოწმდეს არა მარტო საჯარო რეესტრის მონაცემები, არამედ უნდა გაირკვეს, შემძენმა ნივთის შეძენამდე იცოდა თუ არა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე. ამასთან, საქმეში არ არსებობს მხარეთა შორის დადებული სერვიტუტის დამდგენი ხელშეკრულება ან რაიმე დათქმა, ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნასყიდობის საგნის – სერვიტუტით დატვირთვის თაობაზე, შესაბამისად, წინამდებარე

სარჩელის – ტექნიკური ხარვეზის გასწორების მოთხოვნის ფარგლებში, სარჩელის ნამდვილი მიზნის მიღწევა სამართლებრივად შეუძლებელია, რის გამოც საკასაციო სასამართლომ ახალი გადანყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი.

**რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადების შედეგები;
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად
გამოცხადება**

**წინა რეგისტრაციის უკანონობა თავისთავად არ იწვევს შემდგომი
რეგისტრაციების ბათილობას;**

**რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი
დოკუმენტის ბათილად ცნობა იწვევს რეგისტრაციის ძალადაკარგულად
გამოცხადებას;**

**აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად
გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას**

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26.2 მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61.7 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-585-572(4კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 ნოემბრის გადანყვეტილებით (საქმე 3/54-13) ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის გადანყვეტილებები; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს; სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსახურეო სამმართველოს მიმართვები. მოპასუხეებს დაევალებათ სადავო საკითხებთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ივნისის განჩინებით (№3ბ/90-2014) უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადანყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით (საქმე №ბს-367-363(კ-12), 28.02.2013წ. გადანყვეტილება), მოცემულ დავასთან მიმართებაში არ დაადგინა საქმის გადანყვეტილ სათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, შესაბამისად, არ შეაფასა სახეზე იყო თუ არა გამოყენებულ გადანყვეტილებაში ასახული და არსებული დავის ფაქტობრივ გარემოებათა იდენტიფიკაცია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა არ ეხება ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც სადავო უძრავ ქონებაზე უფლების გადასვლა ხდება რამდენიმე პირზე და კანონიერ ძალაშია მათი უფლების დამდგენი შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობები. სააპელაციო სასამართლომ გააბათილა საკუთრების უფლების რეგისტრაცია, ხოლო იმ სამართლებრივი აქტების კა-

ნონიერების გადამონმების საკითხის განხილვა შეჩერებული იყო, რომელიც საფუძვლად დაედო გაბათილებულ რეგისტრაციებს, რაც ფაქტობრივად სამართლებრივი ნონსენსია.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ბათილად ცნობა იწვევს რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადებას. საკუთრების უფლების ახალ მესაკუთრეზე გადასვლით ძალას კარგავს თავდაპირველი მესაკუთრის სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია, თუმცა თავდაპირველი მესაკუთრის უფლების რეგისტრაციის გაუქმება ავტომატურად ვერ გამოიწვევს უფლების ახალ შემძენზე რეგისტრაციის გაუქმებას, რამდენადაც უფლებას მხოლოდ რეგისტრაცია არ წარმოშობს. რეგისტრაცია წარმოებს სარეგისტრაციო დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც უშუალოდ წარმოშობს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. უძრავი ქონების სახელმწიფოდან კერძო სამართლის სუბიექტებისათვის გადაცემა მოხდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის პირობებში, რიგ შემთხვევაში მმართველობითი ღონისძიების, ხოლო რიგ შემთხვევაში კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შედეგად, რომელთა კანონიერება სასამართლოს განსჯის საგანი არ გამხდარა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების კანონიერების გადასინჯვის გარეშე, წინა რეგისტრაციის უკანონობა თავისთავად არ იწვევს შემდგომი რეგისტრაციების ბათილობას. ჩგარდა ამისა, სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. მიუხედავად ამისა, წინა ინსტანციის სასამართლოებმა რეგისტრაციის საფუძვლების მოქმედების პირობებში გაბათილა უძრავი ქონების პირველ და ბოლო მესაკუთრეზე რეგისტრაცია. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამიჯნოს სასარჩელო მოთხოვნები განსჯადობისა და განხილვის რიგითობის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

შენიშვნა: ანალოგიურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი განჩინებები: 1. №ბს-193-189(2კ-15), 24.09.2015; 2. №ბს-120-118(2კ-15), 15.09.2015; 3. №ბს-10-10(2კ-15), 15.09.2015; 4. №ბს-30-30(2კ-15), 02.07.2015.

5. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება და რეგისტრაცია

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება

მიწის ნაკვეთზე მართლზომიერი მფლობელობის დადგენა გამორიცხავს თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში აღიარების შესაძლებლობას

- „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები, მე-4¹ მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-481-469(4კ-13) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/559-11) ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურის მიერ განხორციელებული ჩანაწერი და არაკანონიერად იქნა აღიარებული აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე გაცემული საინვენტარიზაციო გეგმები; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილება ამავე კომისიის ოქმის 29-ე საკითხის ბათილად ცნობის ნაწილში; ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ერთი თვის ვადაში; სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/191-13, 13.06.13) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ 2003 წლამდე ტექნიკურ ბიუროში მესამე პირის სახელზე სადავო მიწის ფართი აღრიცხული არ იყო და არ გაითვალისწინა ტექნიკური აღრიცხვის დოკუმენტები, რომელზე დაყრდნობითაც ნათლად დაფიქსირებული ტექნიკური ბიუროს 1990 წელს ჩანაწერის განხორციელება სადავო მიწის ნაკვეთის მიმართ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით არ დგინდება, მოსარჩელეები წარმოადგენენ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის მართლზომიერ მფლობელებს თუ მათ ეს მიწის ნაკვეთი დაკავებული აქვთ თვითნებურად, როგორც მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მომიჯნავედ მდებარე. აღნიშნული დასკვნა არ ემყარება საქმეში დაცული მტკიცებულებების სათანადო შესწავლასა და მათ სწორ შეფასებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და მე-4¹ მუხლის საფუძველზე, დაადასტურა მესამე პირის სადავო მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელობა და აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთზე მართლზომიერი მფლობელობის დადგენა გამორიცხავს თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში აღიარების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და არ დააკმაყოფილა სარჩელი.

მინის ნაკვეთის რეგისტრაციის გაუქმება;
საკუთრების უფლების შინაარსი

მინის რეგისტრაცია ბათილად ან არარად უნდა გამოცხადდეს თუ წარმოდგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ადასტურებს რეგისტრაციის ბათილად ან არარად ცნობის ფაქტს

- „საჯარო რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 26.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი
- სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-399-394(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 15.07.13წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა გზით სარგებლობის სერვიტუტის უფლება. მოსარჩელემ მოითხოვა ამ ნაწილში გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/222-2013) სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-64-14, 10.04.14) გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი ისე, რომ არ გაითვალისწინა სკ-ის 170-ე მუხლის მოთხოვნები და მიიჩნია, რომ სარეგისტრაციო სამსახურს უნდა დაედგინა კანონიერ ძალაში შესული 18.12.2012წ. გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლები, გაერკვია სერვიტუტით სარგებლობის აკრძალვა მოიცავდა თუ არა გზით საერთო სარგებლობის უფლების ჩანაწერის გაუქმებას, თუმცა არ მიუთითა, თუ რომელი გადაწყვეტილების საფუძველზე იყო რეგისტრირებული გზით საერთო სარგებლობის უფლება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სერვიტუტის შემთხვევაში სახეზეა სხვადასხვა პირის საკუთრებაში რიცხული მინის ნაკვეთები, ხოლო საერთო სარგებლობის უფლების დადგენისას კი, სახეზეა ერთი მინის ნაკვეთი, რომელზეც რამდენიმე პირს თანასწორად, თავიანთი წილების შესაბამისად, აქვთ მინაზე სარგებლობის უფლება მოპოვებული. მინის ნაკვეთზე სერვიტუტის უფლების რეგისტრაცია ფაქტობრივად გამორიცხავს იმავე მინის ნაკვეთზე იგივე მხარეების თანასარგებლობის უფლების რეგისტრაციას. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითითება სადავო მინის ნაკვეთზე სერვიტუტის უფლებასთან ერთად თანასარგებლობის უფლების შესაძლო რეგისტრაციის შესახებ. პალატამ აღნიშნა, რომ სერვიტუტის უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა დადგენილი იყო სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით, რაც „საჯარო რეგისტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უპირობოდ ქმნიდა სერვიტუტის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დააბრუნა საქმე ხელახალი განხილვისათვის.

6. სახელმწიფო ქონების პრივატიზება და კანონიერ სარგებლოებაში არსებული ფართის საკუთრებაში გადაცემა

არაპრივატიზებულ საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ
(იზოლირებულ და არაიზოლირებულ) ფართზე კანონიერი
მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლების
მინიჭება

**კანონიერი მოსარგებლეა ის ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი
ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე კანონიერად
სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართით**

– საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მე-2
მუხლი*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2015 წლის 3 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-392-
387(3კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამარ-
თლოს 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3-181/13) ბათილად იქნა
ცნობილი ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 24 აგვისტოს დადგენილება. ამ დადგენი-
ლების საფუძველზე სადავო ფართის – 17,94 კვ.მ. ქ. ბათუმის მერიის სახელზე საკუთ-
რების უფლებით აღრიცხვის თაობაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბა-
თუმის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერი; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-
ტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება რე-
გისტრაციის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის
21 თებერვლის განჩინებით (№3/ბ-427-2013) უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სა-
სამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ
გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ქ. ბათუმის მთავრო-
ბას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, დაედგინა, ქ. ბათუმის ადგილობრივი
თვითმმართველობის (ქ. ბათუმის მერიის) სახელზე საკუთრების უფლებით დარეგის-
ტრირებულიყო ქ. ბათუმში მდებარე სადავო ფართი, ვინაიდან ეს ფართი მოსარჩელის
ოჯახს ჰქონდა გადაცემული ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღ-
მასკომის 1964 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე. დაუსაბუთებელია
სასამართლოთა მიერ განსახილველ დავაში საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992
წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის
29 იანვრის №73 ბრძანებულების გამოყენება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სა-
დავო ბინის პრივატიზების შესახებ მოთხოვნის უფლების რეალიზაცია არ მომხდარა
მოსარჩელის ოჯახის წევრების მიერ. ამდენად, არარეალიზებული უფლების მემკვიდ-
რეობით გადასვლის იურიდიულ შესაძლებლობას მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლო-
ბა არ ითვალისწინებს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონიერი მოსარგებ-
ლის სტატუსით პირის აღჭურვა დაკავშირებულია ორ წინაპირობასთან, კერძოდ: 1. უფ-

* აღნიშნულ საკითხს ამჟამად აწესრიგებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №
189 დადგენილება

ლებამოსილი ორგანოს მიერ ფიზიკურ პირზე გაცემული სათანადო დოკუმენტზე (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვა), რომელიც პირს ანიჭებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობით სარგებლობის უფლებას და 2. პირის მიერ აღნიშნული ფართობით ასეთი დოკუმენტის საფუძველზე კანონიერ სარგებლობასთან. ამდენად, კანონიერი მოსარგებლის დეფინიციის ერთ-ერთ სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს: „პირი ასეთი დოკუმენტის საფუძველზე კანონიერად სარგებლობს აღნიშნული ფართობით“, რაც განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მხრიდან არ დასტურდება, შესაბამისად, იგი ვერ ისარგებლებს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით მინიჭებული უფლებებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე არ დააკმაყოფილა.

სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება

ქ. თბილისის მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების ძალაში შესვლის შემდგომ მიღებული შემზღუდველი სამართლებრივი აქტები გავლენას ვერ იქონიებს ამ განკარგულების აღსრულებაზე

- „სახელმწიფო ქონების შესახებ“ 2010 წლის 21 ივლისის საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-5 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 12 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-1442-1405(2კ-10) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №3/2951-09) ქ. თბილისის მერიას „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესრულება დაევალა, ხოლო სარჩელი ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებისა და მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლების მონაბობის ბათილად ცნობის ნაწილში არ დააკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ივლისის განჩინებით (№3ბ/1198-10) უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოსარჩელის ძირითად არგუმენტზე – წარმოადგენდა თუ არა მოპასუხე იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომლის მომიჯნავედ არსებულ მიწაზეც კომისიამ საკუთრების უფლება უღიარა. ასევე არ იმსჯელა საქართვე-

ლოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულების მოქმედების პირობებში არსებობდა თუ არა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის განკარგვის საფუძველი. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2009 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისას სასამართლოები შემოიფარგლნენ მხოლოდ იმ გარემოებაზე ზოგადი მითითებით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულება არ იძლეოდა მიწის ნაკვეთის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ მიწის ნაკვეთის მიყიდვა უნდა მომხდარიყო საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულების გამოცემის მომენტში მოქმედი მიწის ნორმატიული ფასის გადახდის პირობით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელისათვის მიწის გადაცემის საკითხის გადაწყვეტის დროს მოქმედი კანონმდებლობით მიწის განკარგვის პროცესის მართვა და ორგანიზება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას პირდაპირი განკარგვის შესახებ იღებდა საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის მიწის პირდაპირი განკარგვის შესახებ მიღებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული. შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობის მიერ მის მიმართ შემდგომ მიღებული შემზღუდველი სამართლებრივი აქტები გავლენას ვერ იქონიებს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების აღსრულებაზე. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონის 47-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედებამდე დაწყებულ, სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული წესი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

საქართველოს რესპუბლიკაში ბინის პრივატიზაცია (უსასყიდლოდ გადაცემა);

კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაკრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა

ბინაზე 60 წლის წინანდელი ჩანერა, იმდროინდელი კანონმდებლობის საფუძველზე წარმოდგენდა სახლის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უტყუარ დამადასტურებელ საბუთს

- საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი*
- საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის №107 დადგენილების მე-3 პუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-180-177(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/4063-13) სარჩელი ბინის პრივატიზებაზე უარის თქმის შესახებ, ქ. თბილისის მერიის განკარგულების ბათილად ცნობისა და ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობისათვის ბინის პრივატიზების თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 5 ნოემბრის განჩინებით (№3ბ/205-14) უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება. სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 107-ე დადგენილების მე-3 პუნქტის მიხედვით, პრივატიზებას არ ექვემდებარება სამსახურებრივი დანიშნულების ბინა, აგრეთვე, ბინა საერთო საცხოვრებელში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ის გარემოება, რომ სადავო საცხოვრებელი ფართი საავიაციო ქარხნის ბალანსზე იყო და მისი სარგებლობაში ან უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა მოსარჩელეზე განხორციელდა საავიაციო ქარხნის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული დადგენილებით მხოლოდ რეგისტრაცია (ჩანერა) არ წარმოშობდა პრივატიზების საფუძველს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებდნენ მოსარჩელის მიერ საცხოვრებელი ბინის ფლობის ფაქტს, თუმცა უძრავი ნივთის ფლობისა და სარგებლობის რაიმე სამართლებრივი საფუძველი მოძიებული და სასამართლოში წარმოდგენილი ვერ იქნა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართვე-

* ამ საკითხს ამჟამად აწესრიგებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი

ლოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე, რომელშიც მითითებულია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებითაც უნდა იქნეს დადასტურებული კანონიერი სარგებლობის ფაქტი, თუმცა კანონმდებელი არ იძლევა ამ დოკუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს და ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას დაეყრდნოს უძრავი ქონების კანონიერი სარგებლობის ფაქტის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებსაც. არც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და არც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს სადავო ბინაში მოსარჩელის 60-წლიანი რეგისტრაციის („ჩანერის“) ფაქტი, ასევე საკუთარი სახელით კომუნალური გადასახადების გადახდა, ვინაიდან იგი თავად არის აბონენტად რეგისტრირებული. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობამ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარმოადგინა მოსარჩელის ბინაზე სხვის სახელზე გაცემული ორდერი, რადგან ასეთი დოკუმენტი არ არსებობს. ამდენად, არავითარი კერძო ან საჯარო ინტერესი სადავო ბინაზე არ იკვეთება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ ნორმათა განმარტებიდან და საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც გამყარებულია კანონით დადგენილი წესით დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტებით, სადავო ბინაში მოსარჩელის იმ დროს არსებული „ჩანერის ინსტიტუტის“ საფუძველზე 60-წლიანი რეგისტრაციის ფაქტი მიჩნეულ უნდა იქნეს იმ „სხვა დოკუმენტად“, რომელიც მითითებულია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტში. იმდროინდელი კანონმდებლობის საფუძველზე ბინაში ჩანერა წარმოადგენდა სახლის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უტყუარ დამადასტურებელ საბუთს. ამდენად, ის გარემოება, რომ პირი ჩანერილი იყო მითითებულ საცხოვრებელ სადგომში, ქმნიდა საცხოვრებელ ფართზე მის კანონისმიერ უფლებებს“. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა 2014 წლის 10 იანვრის სს ... წერილი, რომლის მიხედვით სს ... საბინაო ფონდი 1996 წლიდან, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, გადაეცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ 2013-2014 წლებისთვის მოსარჩელის საცხოვრებელი ფართი აღარ განეკუთვნება არც სამსახურებრივი დანიშნულების ბინას და არც საერთო საცხოვრებელს. სადავო ბინა ირიცხება თვითმმართველობის ორგანოს ბალანსზე, რის გამოც იგი წარმოადგენს პრივატიზების ობიექტს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოპასუხეს დაევალა ახალი აქტის გამოცემა ბინის მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

7. საგადასახადო და საბაჟო დავები

სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა;

მეწარმე ფიზიკურ პირად ცნობა

ფიზიკური პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს მენარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, დაბეგვრის მიზნებისთვის მენარმედ განიხილება

– 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 13.4 და 36.2 მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-155-153(2კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/2748-13) სარჩელი სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული აქტებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით (№3ბ/339-14) სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურს მოსარჩელის სასარგებლოდ თანაბარნილად 8000 ლარის გადახდა დაეკისრათ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 13.4 მუხლზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1.1 მუხლზე და განმარტა, რომ მითითებული საკანონმდებლო დანაწესებიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ სამეწარმეო საქმიანობისათვის განმსაზღვრელია სისტემატურობა და ორგანიზებულობა. მოსარჩელის მიერ მხოლოდ ერთჯერადად იქნა განხორციელებული მინოდების ოპერაცია, როდესაც მან აუქციონზე შექენილი ნივთების ნაწილი მიაწოდა შპს-ის თბილისის ფილიალს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ასევე არ იძლევა სადავო დარიცხვის განხორციელების შესაძლებლობას მოსარჩელის მიერ მოთხოვნის დათმობის საფუძველზე შემოსავლის მიღება დებიტორებისგან, რადგან ამ პირებთან მოსარჩელე არ იყო დაკავშირებული სამეწარმეო ან ეკონომიკური საქმიანობით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მრავალჯერადობის განსაზღვრისას გადამწყვეტი არ არის მხოლოდ მოქმედებათა რაოდენობა, ასევე მნიშვნელოვანია ამ მოქმედებათა განხორციელების განზრახვა მოგებაზე ორიენტირებული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში განმსაზღვრელია, რომ პირს სურდა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამეწარმეო საქმიანობა, როგორც წესი, ერთმანეთის მიმდევარი მოქმედებებისაგან შედგება, თუმცა შეიძლება ერთი მოქმედებითაც ამოიწეროს. მოცემულ შემთხვევაში მთავარი პროცესის ხანგრძლივობა ან მასში მოქმედებების რაოდენობა კი არ არის, არამედ მიზანმიმართული აქტივობაა. საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 36.2 მუხლზე და განმარტა, რომ ფიზიკური პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება რეგისტრაციის, ლიცენზიის ან ნებართვის გარეშე არ წარმოადგენს

ამ ფიზიკური პირის დაბეგვრის მიზნით მისი მენარმე ფიზიკურ პირად არცნობის საფუძველს. შესაბამისად, თუ ფიზიკური პირი ახორციელებს სამენარმეო საქმიანობებს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, აღნიშნული პირი დაბეგვრის მიზნებისთვის მენარმედ განიხილება. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

**ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის დაბრუნება
გადასახადის დაბრუნებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ საგადასახადო
ორგანო და არა საგადასახადო აგენტი**

– საგადასახადო კოდექსის 51-ე და 63.1 მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-528-521(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (საქმე №3/2105-14, 30.09.14) ნაწილობრივ დააკმაყოფილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ აღძრული სარჩელი ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის დაბრუნების შესახებ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაავალა ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის დაბრუნება, ასევე ადვოკატის მომსახურების ხარჯი.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1627, 25.03.15) გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვა უცვლელად. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად მიიჩნიეს, რომ გადასახადის დაბრუნებაზე პასუხისმგებელია საგადასახადო აგენტი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საგადასახადო აგენტი საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში შეიძლება იყოს მხოლოდ შუამავალი გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის, გადასახადის უკანონოდ დარიცხვის, ანუ კანონიერი საფუძვლის გარეშე პირის დაბეგვრის შემთხვევაშიც გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი და გადასახადის უკანონოდ დაბეგრილი თანხის დაბრუნება ეკისრება შესაბამის საგადასახადო ორგანოს. მოსარჩელისათვის ზედმეტად დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადის თანხა თავდაცვის სამინისტროს ანგარიშზე არ ჩარიცხულა და მას რაიმე ფინანსური სარგებელი არ მიუღია. საშემოსავლო გადასახადის მთლიანი სადავო თანხა, კანონმდებლობის თანახმად, ჩაირიცხა ბიუჯეტში. ამდენად, უკანონო დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადის თანხების ანაზღაურება დაეკისრა არასათანადო მოპასუხეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დააბრუნა საქმე ხელახალი განხილვისათვის.

საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა

საგადასახადო ვალდებულების დამდგენ დოკუმენტს მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნა წარმოადგენს. საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ვადაა 6 წელი

– საგადასახადო კოდექსის 4.1; 238.1; 241.1 მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-798-782(კ-12) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ 2012 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/9453-2011) არ დააკმაყოფილა სარჩელი ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1064-12, 11.09.2012) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შპს-ის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახული დავალიანება წარმოადგენდა აღიარებულ საგადასახადო დავალიანებას ისე, რომ არ დაადგინა პირადი აღრიცხვის ბარათში და შემონმების აქტებში მითითებული თანხების აღიარებულ დავალიანებად მიჩნევის ნინაპირობები, არ გაითვალისწინა, რომ საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა შემოიფარგლება აღიარებული საგადასახადო ვალდებულების მოცულობით, ასევე არ იმსჯელა განხორციელებული დარიცხვის ხანდაზმულობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შემონმების აქტი არის შუალედური აქტი, რომელიც ქმნის პირადი აღრიცხვის ბარათზე დავალიანების დარიცხვის პირობას და არა მოთხოვნის აღიარებულად მიჩნევის საფუძველს. მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნა წარმოადგენს საგადასახადო ვალდებულების დამდგენ დოკუმენტს. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ შპს-ის პირადი აღრიცხვის ბარათზე დავალიანების არსებობა ან შემონმების აქტების გაუსაჩივრებლობა ქმნიდა საგადასახადო დავალიანების აღიარებულად მიჩნევის ან დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის გამოყენების საფუძველს. ყადაღის აქტის მართლზომიერების დადგენა საჭიროებს აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის ოდენობის გარკვევას. ამასთან, საგადასახადო კოდექსის 4.1 მუხლის მიხედვით, საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ვადა 6 წელს შეადგენს, თუ ამ დრომდე შედგენილი არ იყო საგადასახადო მოთხოვნა/შეტყობინება, შემოსავლების სამსახური მოკლებულია მისი შედგენის შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის
გამოანგარიშება

იმდროინდელი (2004 წლის) საგადასახადო კოდექსის მიხედვით მიწაზე ქონების გადასახადების გადახდა არ ითვალისწინებდა გადამხდელის მიერ დეკლარაციის წარდგენას, საგადასახადო ორგანოებს თავად უნდა წარედგინათ გადამხდელისათვის „საგადასახადო მოთხოვნა“

- საგადასახადო კოდექსის 80.1 მუხლი
- საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები
- საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-9 და მე-13 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-400-389(კ-13) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/286-12) სარჩელი უკანონოდ დარიცხული საბიუჯეტო დავალიანების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/20-13 26.04.13) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ისე, რომ არ გაითვალისწინა 274-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები, 275-ე მუხლის მე-9 და მე-13 ნაწილების მოთხოვნები, არ შეისწავლა საგადასახადო დავალიანების წარმომშობი დოკუმენტაცია და დავალიანების არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნია მხოლოდ შემოსავლების სამსახურის დასკვნა. პირადი აღრიცხვის ბარათში გაზრდილი საგადასახადო დავალიანების აღრიცხვის საფუძველი სასამართლოს მიერ დადგენილი არ იყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლის მე-6, მე-7 ნაწილების თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გამოანგარიშება ხდებოდა მიწის წლიური საბაზრო განაკვეთის გამრავლებით ტერიტორიულ კოეფიციენტსა და მიწის ფართობზე. საგადასახადო კოდექსის 275.9 მუხლის თანახმად, მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელების აღრიცხვა და გადასახადის დარიცხვა წარმოებდა ყოველწლიურად 1 მარტის მდგომარეობით, იმავე მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით კი, საგადასახადო ორგანოები მიწაზე დარიცხული ქონების გადასახადის შესახებ „საგადასახადო მოთხოვნას“ გადამხდელებს აბარებდნენ საანგარიშო წლის 1 ივლისამდე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასკვნა თავისთავად არ ადასტურებს გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე საგადასახადო დავალიანების დარიცხვის მართლზომიერებას. დასკვნის შედგენის დროს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 80.1 მუხლის თანახმად გადასახადის გადამხდელს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა, რომელიც არის საგადასახადო ორგანოს ადმინისტრაციული აქტი და რომლითაც ცნობილი ხდება გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის ოდენობა. ასეთის წარუდგენლობის შემთხვევაში გადამხდელისათვის უცნობი იყო გადასახადის ოდენობა. აღნიშნული დოკუმენტის ჩაუბარებლობა წარმოადგენს მიწის გადასახადზე საურავებისაგან განთავისუფლების საფუძველს. ჩგარდა ამისა, შემოსავლების სამსახურის მიერ დარიცხვა უნდა განხორციელდეს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც საქმეში არ მოიპოვება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა

ბადასახადის გადახდელის სამართლებრივი შეცდომის (არცოდნის) ფარგლებში

საგადასახადო პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდება პირი, თუ ის გაუფრთხილებლად მოქმედებდა, რაც ბრალის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს

- საგადასახადო კოდექსის 269.7 მუხლი
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 7 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-222-219(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ახალციხის რაიონულმა სასამართლომ 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/064-13) არ დააკმაყოფილა სარჩელი სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმისა და ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1544-13, 12.03.14) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ისე, რომ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივრის ძირითად მოტივზე საგადასახადო კოდექსის 269.7 მუხლის არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით, ისე მიიჩნია მოსარჩელე კეთილსინდისიერ გადახდელად, რომ არ გამოარკვია, მოქმედებდა თუ არა იგი საპატიებელი შეცდომის პირობებში. ამასთანავე არ გაითვალისწინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს შეფასებით მოსარჩელე არ მოქმედებდა სამართლებრივი შეცდომის ფარგლებში, მისი ქმედება, რომელიც ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად დააკვალიფიცირეს შეცდომად, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე რეალურად არ გამოიციხავდა მის ბრალეულობას, რამდენადაც იგი მოქმედებდა გაუფრთხილებლად, რაც ბრალის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, შესაბამისად, არ არსებობდა მისი კეთილსინდისიერ პირად მიჩნევის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც დაუშვებელია საგადასახადო კოდექსის 269.7 მუხლით მინიჭებული კომპეტენციის ამ ნორმითვე განსაზღვრული პირობებით საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სამართლებრივი შემადგენლობის არარსებობის გამო გამოყენება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ.

შენიშვნა: ანალოგიურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-327-323(კ-14), 02.12.14) განჩინება

საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევა

გადასახადის გადამხდელის საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისას აუცილებლად უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი დაუძლეველი ძალის მოქმედებას, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობას შორის

– საგადასახადო კოდექსის 281.7 და 269.5 მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-218-215(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2013 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/3363-13) სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და ბრძანება, მოპასუხეს დაევალა ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/183-14, 25.02.14) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ისე, რომ არ გამოარკვია ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას, რომელიც გამორიცხავდა მის ბრალეულობას, არ დაკითხა არც ერთი მონმე, რომელიც დაადასტურებდა სახლში წყლის ჩამოსვლის ფაქტს და იქ არსებული ნივთების განადგურებას, ან სახლში საკონტროლო-სალარო აპარატის შენახვის ფაქტს. სასამართლომ დაარღვია საგადასახადო კოდექსის 281.7 მუხლის მოთხოვნები და არასწორად გამოიყენა იმავე კოდექსის 269.5 მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ჩგადასახადის გადამხდელს საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვაში ბრალი არ მიუძღვის, თუ დაკარგვა გამოწვეულია არა მისი დაუდევარი ქმედებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა საკონტროლო-სალარო აპარატის შენახვას, არამედ მისი დაკარგვა გამოწვეულია სხვა პირის ბრალეული ქმედებით ან დაუძლეველი ძალის არსებობით. საგადასახადო კოდექსის 281.7 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის კვალიფიკაცია და მისი შეფარდება პირისთვის, შეუძლებელი და შესაბამისად, კანონსაწინააღმდეგო იქნება პირის ბრალეულობის განსაზღვრის გარეშე. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისას აუცილებლად უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი დაუძლეველი ძალის მოქმედებასა და საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობას შორის. ამგვარი ფაქტის დაუდგენლობის შემთხვევაში ქმედების/უმოქმედობის კვალიფიკაციისათვის საგადასახადო კოდექსის 281.7 ნაწილის გამოყენება კანონსაწინააღმდეგოა, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა უზრუნველყოს საქმის გარემოებების სრულფასოვანი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე სასამართლო დავის კანონიერად და მიუკერძოებლად გადაწყვეტა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

შენიშვნა: ანალოგიურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-173-171(კ-14), 07.10.14 და №ბს-201-199(კ-14), 07.10.14 განჩინებები.

დაჯარიმება გადასახადის გადახდელთან სააღრიცხვო
დოკუმენტაციის აღურიცხველი და პირველადი საგადასახადო
დოკუმენტის გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების
გამოვლენის გამო

საგადასახადო პასუხისმგებლობის გაუქმების ან შემსუბუქების
შემთხვევაში მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა

– საგადასახადო კოდექსის 286.4 და 269.2 მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-238-
234(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამარ-
თლომ გადასახადებთან დაკავშირებით წარმოშობილ დავაზე (საქმე №3/2858-13,
19.12.13) არ დააკმაყოფილა სარჩელი შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამი-
ნისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/340-14, 09.12.14) უცვლელად დატოვა გა-
საჩივრებული პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ისე, რომ არ გაითვალისწინა სა-
გადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მე-4 ნაწილში შეტანილი ცვლილება ჯარიმის ოდენ-
ობის შემცირების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2015
წლის 15 მაისიდან ამოქმედდა საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომე-
ლიც შეეხო სწორედ იმ სამართალდარღვევას, რის გამოც დაჯარიმდა მოსარჩელე. სა-
კასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-2
პუნქტის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების
დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედე-
ბის ჩადენისთვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა, ხოლო თუ შემოღე-
ბული ან დამძიმებულია პასუხისმგებლობა, გამოიყენება ქმედების ჩადენის მომენტის-
თვის არსებული ნორმა. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს
მიერ მისი გამოყენების დროს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამარ-
თლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს. ზემოაღნიშ-
ნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკა-
საციო საჩივარი და შეამცირა სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის
ოდენობა.

ელექტრონული ხელმოწერის გარეშე საგადასახადო შეტყობინების
გაგზავნა;

ადმინისტრაციული ორგანოს დავირება;

ზეპირად გამომცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტი;

დანიშტერესებული მხარის კანონიერი წდოზა

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული
აქტით საგადასახადო დოკუმენტები, რომლებიც ელექტრონული
ფორმითაა შედგენილი, არ საჭიროებს ელექტრონულ ხელმოწერას**

- საგადასახადო კოდექსის 44.16 მუხლი
- „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51.3 მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4-მე-5 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2014 წლის 23 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-226-
223(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამარ-
თლომ 2013 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/1662-13) სასკ-ის 32.4 მუხ-
ლის საფუძველზე ბათილად ცნო შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინან-
სთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება; მოპა-
სუხეებს დაევალოთ მოსარჩელის მიმართ ახალი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1099-13, 17.10.13) არასწორად განმარტა
„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის მე-11 და მე-17 მუხლების
შინაარსი. სასამართლომ არ გამოარკვია, თუ რატომ გაეგზავნა შპს-ს მეორედ საგადა-
სახადო მოთხოვნა ელექტრონული ხელმოწერით (შტრიხკოდით). ასევე, სასამართლოს
მიერ სზაკ-ის მე-2, 52-ე, 54-ე, 58-ე მუხლების გამოყენება, ამავე კოდექსის 51-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის გამოუყენებლობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემ-
დგომმა სასამართლოებმა არასწორად განმარტეს როგორც საქართველოს საგადასა-
ხადო კოდექსისა და „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების
შესახებ“ 2008 წლის 14 მარტის საქართველოს კანონის რიგი მუხლები, ასევე, საქარ-
თველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცე-
ბული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის მე-11 და მე-17 მუხ-
ლების შინაარსი. საკასაციო სასამართლომ „გადასახადების ადმინისტრირების შესა-
ხებ“ ინსტრუქციის მე-11 მუხლის განმარტების შედეგად დაადგინა, რომ ელექტრონუ-
ლი ხელმოწერის გარეშე საგადასახადო შეტყობინების გაგზავნა შეესაბამება კანონს,
შედეგად, საგადასახადო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იგი ჩაბარე-
ბულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე, რაც განაპირობებს მისი გა-
საჩივრების 30-დღიანი ვადის ათვლის დაწყებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრა-

ციული კოდექსის 51-ე მუხლით დადგენილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ფორმები: წერილობითი ან ზეპირი. სზაკ-ის მე-9 მუხლის და მე-60¹ მუხლის მე-4-მე-5 ნაწილების გათვალისწინებით გასარკვევია, კეთილსინდისიერად მოქმედებდა თუ არა მოსარჩელე, როცა ელექტრონული ხელმოწერის გარეშე მიღებული საგადასახადო აქტი არ მიიჩნია კანონით დადგენილი წესით წარდგენილად და მხოლოდ ელექტრონული ხელმოწერით გაგზავნილი დოკუმენტის მიღების შემდეგ წარადგინა საჩივარი. სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არის თუ არა სახეზე მოსარჩელის კანონიერი ნდობის უფლება და დაცვის ღირსია თუ არა იგი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა

მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება

მარეგულირებელ კომისიას უფლება აქვს იმსჯელოს ადმინისტრაციული აქტის მართლზომიერების მატერიალურ და ფორმალურ საფუძვლებზე და შეაფასოს დაკისრებული თანხის კანონშესაბამისობა

– ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-450-443(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/138-2014) შპს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება მესამე პირის მიერ უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურად დარიცხული, განახევრებული თანხის გადანაწილება 48 თვეზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 დეკემბრის განჩინებით (№3/ბ-415-14) გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლი ასევე, სემეკის კომპეტენციის დადგენისას, არასწორად განმარტა „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე, სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების დამტკიცების შესახებ“ №14 დადგენილების მე-11 მუხლის მე-12 პუნქტი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი საქმის ფარგლებში სადავოა სემეკის უფლებამოსილება, განიხილოს აბონენტისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხი და განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლი შეეხება ადმინისტრაციული

გადაცდომის საკითხს და მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

პალატამ განმარტა, რომ სემეკის კომისია უფლებამოსილია, დადგენილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების მიუხედავად, იმსჯელოს საწარმოს მიერ მის სასარგებლოდ პირზე დარიცხული თანხის საფუძვლიანობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რაც გულისხმობს კომისიის შესაძლებლობას, შეფასდეს და კისრებული თანხის კანონშესაბამისობა და შეამონმოს ადმინისტრაციული აქტის მართლზომიერების მატერიალური და ფორმალური საფუძვლები. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია და არსებობს საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

დაჯარიმება უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის გამო

კანონის მოქმედება სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ვრცელდებოდა სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე იმ შემთხვევაშიც, თუ მშენებლობის მწარმოებელი პირი იყო დაუდგენელი;

პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პირი სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისთვის არ იყო რეგისტრირებული უძრავი ნივთის მესაკუთრედ

- „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22-ე და 22¹-ე მუხლები
- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 14.2 „დ“ მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-311-307(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.04.2013წ. გადაწყვეტილებით (საქმე №3/3035-12, 15.04.13) ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული აქტები უკანონო მშენებლობის გამო მოსარჩელის დაჯარიმების შესახებ, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო აქტები არ შეესაბამებოდა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლისა და სზაკ-ის 53.5 და 96.2 მუხლების მოთხოვნებს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.12.2013წ. განჩინებით (№3ბ/1182-13, 05.12.13) უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.04.2013წ. გადაწყვეტილება. პალატამ აღნიშნა, რომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის რედაქციის შეცვლით და კანონში ახალი, 22¹-ე მუხლის დამატებით ფაქტობრივად შემსუბუქდა იმ სახის სამშენებლო სამართალდარღვევისთვის დადგენილი პასუხისმგებლობის ზომა, რის გამოც ჩათვალა, რომ ზედამხედველობის ორგანომ უნდა დაადგინოს უნებართვო მშენებლობის განხორციელების დრო და განმახორციელებ-

ბელი სუბიექტი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიმართ სამართალდარღვევის საქმის წარმოების დროს მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 2.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, აგრეთვე, ამჟამად მოქმედი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით კანონის მოქმედება სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ვრცელდებოდა სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე იმ შემთხვევაშიც, თუ მშენებლობის მწარმოებელი პირი იყო დაუდგენელი. პალატამ განმარტა, რომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარგებლე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის შესაბამისად აქვს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი და სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის ამ უფლების რეგისტრაცია არ განუხორციელებია. მოსარგებლეს მესაკუთრის მსგავსად ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს სათანადო სამშენებლო ნორმების დაცვა, მის სარგებლობაში არსებული ნაგებობის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა და შემდგომში კანონშესაბამისი ექსპლუატაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის გარემოება, რომ მოსარჩელე სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისთვის არ იყო რეგისტრირებული უძრავი ნივთის მესაკუთრედ არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას. სადავო დადგენილების გამოცემის მომენტისათვის მას არ გააჩნდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვა ავტოფარეხის მშენებლობის ან რეკონსტრუქციის თაობაზე. საკასაციო პალატამ, ასევე, განმარტა, რომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის დაჯარიმების მომენტში მოქმედი რედაქცია, ისევე, როგორც შემდგომში კანონის 22¹-ე მუხლი, სხვა წინაპირობების დადგენის გარეშე ითვალისწინებდა სუბიექტის დაჯარიმებას იმ შემთხვევაში, თუ უნებართვო მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია წარმოებული იყო ქ. თბილისის ტერიტორიაზე. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სადავო სამართალურთიერთობების მიმართ სამართალდარღვევის შემდგომ მიღებული შეღავათიანი რეჟიმის გამოყენების შესაძლებლობაზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით მოსარჩელე ირიცხება ქ. თბილისის ტერიტორიაზე განთავსებული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრედ, რის გამოც გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად.

უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის ნარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, მათ შორის, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე

დაუშვებელია სხვა შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლა გამოიწვიოს ახალი ნაგებობის მშენებლობამ

– პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1., „ა“ მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-149-146(3კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე 3/1190-13) სარჩელი უნებართვო მშენებლობისათვის დაჯარიმების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილების ბათილად ცნობისა და საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით (№3ბ/1302-13) გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილება ნაწილობრივ ანუ მოსარჩელის 10000 ლარით დაჯარიმებისა და ჯარიმის გადახდის/გადაუხდელობის თანმდევი შედეგების თაობაზე გაკეთებული განმარტებების ნაწილში; ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. მოსარჩელეს უარი ეთქვა შენობის დემონტაჟის ნაწილში ადმინისტრაციული საჩივრის არდაკმაყოფილების ნაწილში ბათილად ცნობაზე. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, იმისთვის, რომ სამშენებლო სამართალდარღვევა დაეფუძნოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით 44-ე მუხლს, აუცილებელია, რომ უნებართვო მშენებლობა განხორციელდეს განსაკუთრებული, გამორჩეული, სპეციალური სტატუსის მქონე ტერიტორიის (ზონის) ფარგლებში.

პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს – თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს მოცემული საქმის განხილვისას მხედველობაში უნდა მიეღო კოდექსის 43-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და არა 44.1. მუხლის შინაარსი და აღნიშნა, რომ 44.1 მუხლით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა უფრო მძიმეა და მისი ჩამდენი პირი უფრო მკაცრად ისჯება. შესაბამისად, გადაცდომის 44.1 მუხლით დაკვალიფიცირებისთვის არ კმარა იმ გარემოებაზე მითითება, რომ უნებართვო მშენებლობა ნაწარმოებია თვითმმართველი ერთეულის – თბილისის ტერიტორიაზე. გარდა მშენებლობის ადგილისა, აღნიშნული მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ იმავდროულად არსებობდეს მეორე მაკვალიფიცირებელი ელემენტი – ახალი (უნებართვო) ნაგებობის მშენებლობის გზით სხვა, უკვე არსებული, აშენებული ნაგებობის გაბარიტების შეცვლა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი

მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევისთვის მოსარჩელის დაჯარიმების კანონიერების დადგენა წარმოადგენს. საკასაციო პალატის განმარტებით, შეუძლებელია ახალი ნაგებობის მშენებლობის დროს მშენებლობამ გამოიწვიოს სხვა რომელიმე შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელემ ააშენა კაპიტალური შენობა-ნაგებობა, რომელიც ითვლება ახალ ნაგებობად და სიტყვები: „რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას“ დაკავშირებულია „რეკონსტრუქციის წარმოებისკენ“ და არა „უნებართვო მშენებლობასთან“. ამდენად, მოსარჩელის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, რის გამოც არ არსებობს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის განკარგულების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი.

დაჯარიმების კანონიერება სამშენებლო დოკუმენტაციითა და სამშენებლო რეგლამენტებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევისა ან/და შეუსრულებლობის გამო

იურიდიული პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება არ გამოირიცხავს სამშენებლო სამართალდარღვევისათვის ფიზიკური პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრებას

- პროექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 45.1 „ა“, „ა.ბ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-504-491(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.12.2013წ. გადაწყვეტილებით (საქმე №3/3882-13) ბათილად იქნა ცნობილი პროექტის დარღვევით მე-3 კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მოსარჩელის დაჯარიმების შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილება და ქ. თბილისის მერიის განკარგულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.03.2014წ. ახალი გადაწყვეტილებით (№3პ/155-14) სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილება, მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს პასუხი კითხვაზე იმის შესახებ, თუ რა ეთვლება მოსარჩელეს სამშენებლო სამართალდარღვევად – ბრალეული ქმედებით (მოქმედებით/უმოქმედობით) ძეგლის სტატუსის მქონე შენობის დაზიანება, თუ მითითებაში განსაზღვრული მოთხოვნის დადგენილ ვადაში შეუსრულებ-

ლობა. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა შეფასება უნდა მისცეს საკითხს იმის შესახებ, იყო თუ არა საკმარისად გონივრული მოსარჩელისათვის ადმინისტრაციული ორგანოსმითითებით დაწესებული 20-დღიანი ვადა კორექტირებული პროექტის მოსაპოვებლად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაჯარიმებას საფუძვლად დაედო „პროექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „ა.ბ“ ქვეპუნქტები, რომელთა თანახმად, სამშენებლო დოკუმენტაციითა და სამშენებლო რეგლამენტებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას. მოცემულ შემთხვევაში იურიდიულ პირზე საჯარიმო სანქციის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი შეადგენს განსახილველი დავის საგანს. იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება მიუხედავად იმისა დადგენილია თუ არა სამართალდარღვევის ჩამდენი კონკრეტული ფიზიკური პირი, მიუხედავად ამ პირის ბრალის ფორმისა. ბრალის ფორმას მნიშვნელობა აქვს ფიზიკური პირის პასუხისმგებლობისათვის. საკმარისია პირის მიერ წესის, დამტკიცებული პროექტის, მშენებლობის ნებართვის დარღვევის კონსტატაცია, ბრალი ასეთ შემთხვევაში პრეზუმირდება. რაც შეეხება ბრალის ფორმებს (განზრახვა, გაუფრთხილებლობა), კონკრეტული ფიზიკური პირების ქმედებას, სამშენებლო სამართალდარღვევისათვის იურიდიული პირის პასუხისმგებლობისათვის მათ არ აქვთ არსებითი მნიშვნელობა. იურიდიული პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება არ გამოორიცხავს სამშენებლო სამართალდარღვევისათვის ფიზიკური პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრებას. მოცემულ შემთხვევაში კონკრეტული ფიზიკური პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, შესაბამისად, საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო პალატის დავალება კონკრეტული ფიზიკური პირების მოქმედების ზუსტი დადგენის საჭიროების შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

9. სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების გამოყენება ადმინისტრაციულ დავებზე

სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დენის ათვისება

ხანდაზმულობის ვადის დენა დაკავშირებულია მოთხოვნის წარმოშობის მომენტთან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ

– სამოქალაქო კოდექსის 128.3 და 130 მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-193-191(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე №3/74-2013) არ დააკმაყოფილა სარჩელი ქ. ქუთაისის მერიის ტექ.აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის მიერ მომზადებული გეგმა-ნახაზის, ცნობა-დახასიათების და საჯარო რეესტრის უძრავ ქონებაზე ამონაწერის (აივნის და სათავსოს ნაწილში) გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-395-13, 30.12.13) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ისე, რომ არ იმსჯელა, თუ რომელი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ჩამოაყალიბა ქვემდგომმა სასამართლომ და რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ მოსარჩელემ გაუშვა სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადა, არ გააქარწყლა მოსარჩელის მოტივაცია ხანდაზმულობის ვადაში სარჩელის შეტანის დამადასტურებელ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. არ გამოარკვია, თუ როდის გახდა ცნობილი მოსარჩელისთვის უფლების დარღვევის შესახებ, როდის გაეცნო იგი კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრის სამართლებრივ აქტებს, შესაბამისად, არ გაითვალისწინა სკ-ის 130-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სრულიად დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნები სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის თაობაზე, რის გამოც, სასამართლო საქმის ხელახლა განხილვისას ვალდებულია საპროცესო კანონმდებლობის თანახმად იმსჯელოს და უტყუარად დაადგინოს სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი, რამდენადაც სკ-ის 130-ე მუხლით განსაზღვრულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლის წესი, კერძოდ, მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

შენიშვნა: ანალოგიურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-48-47(კ-14), 18.11.14 განჩინება.

სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა

ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადის გასვლა გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, მაგრამ არ გამორიცხავს სუბიექტურ მომენტს – იცოდა თუ არა მოსარჩელემ სარჩელის აღძვრის მომენტამდე ან უნდა სცოდნოდა თუ არა საკუთარი უფლების დარღვევის შესახებ

– სამოქალაქო კოდექსის 128.3 და 130-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-339-335(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: საჩხერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის (საქმე №3/1-13) გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ჭიათურის სარეგისტრაციო სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით (№ 3/ბ-405-2013) სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტები, ჭიათურის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით მოთხოვნაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მოთხოვნის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლიანობაზე. ხანდაზმულობის საერთო ვადა განისაზღვრება 10 წლით. ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს სხვათა უფლების შელახვას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სკ-ის 130-ე მუხლის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენა დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში არ გამორიცხავს სუბიექტურ მომენტს - იცოდა თუ არა მოსარჩელემ სარჩელის აღძვრის მომენტამდე ან უნდა სცოდნოდა თუ არა საკუთარი უფლების დარღვევის შესახებ, რამდენადაც ის წლებია სარგებლობს სადავო ფართით. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა, რადგან მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კვალიფიციური შეფასება უნდა მისცეს სარჩელის საგანს და დავა გადაწყვიტოს სარჩელის ფარგლებში მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის (სკ-ის 1005.3 მუხლი)

რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა

– სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-485-474(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (საქმე №3/4021-13, 04.02.14) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე და საქართველოს მთავარ პროკურატურას მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება, ხოლო მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დააკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3პ/302, 20.06.14) უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს პროკურატურის მხრიდან ადგილი არ ჰქონდა უკანონო ქმედებას და იგი მოქმედებდა კანონის შესაბამისად, რაც გამორიცხავდა სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი

მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას და მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სკ-ის 395-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უკანონო ბრალდების შედეგად დამდგარ, ასანაზღაურებელ ზიანში მოიაზრება როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი. სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია ანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც უკავშირდება რეაბილიტირებული პირისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემას, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ვინაიდან არ დაიშვება ნორმის ისე განმარტება, რომ პირს არ მიეცეს უფლების აღდგენის ეფექტური, ქმედითი შესაძლებლობა.

იმ საფუძველით, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე არ იყო დადგენილი მატერიალური ზიანის არსებობა და ზიანის ანაზღაურების ფარგლები, ხოლო საკასაციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას იმსჯელოს მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველიანობაზე, გააუქმა, გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.

ადმინისტრაციული სასამართლის საპროცესო ნორმათა დარღვევები

1. ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი

**უზენაესი სასამართლოს და საქმის გარემოებების გამოკვლევა
სასამართლოს მიერ**

**მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს მხარეთა თანასწორობის
საფუძველზე; სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით
მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების
წარსადგენად**

– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2014 წლის 29 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-600-578 (2კ-
13) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №3/611-13) დააკმაყოფილა სარჩელი შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის შესახებ და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (3ბ/729-13, 18.09.13) უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და არ გაითვალისწინა, რომ დარღვეულია სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები, საქმის განხილვაში არ იყო მიწვეული მხარე – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილება ისე, რომ არ გაითვალისწინა სსკ-ის 377.1 მუხლით განსაზღვრული სააპელაციო სასამართლოს კომპეტენცია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასაციონების საკასაციო პრეტენზია, რომ ერთ-ერთი მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთოდ არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში, მაშინ, როდესაც მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს მხარეთა თანასწორობის საფუძველზე, ამდენად, დარღვეულია სსკ-ის მე-4 მუხლის მოთხოვნები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სსკ-ის 385.2 მუხლის შესაბამისად, სრული პროცესუალური უფლებამოსილება ჰქონდა თავად გადაწყვეტიდა დავა. სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად (სსკ-ის მე-4 მუხლი), კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (სსკ-ის მე-19 მუხლი). საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება – განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება გულისხმობს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის შეფასებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

2. პროცესის სარჩები

სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 9.1 მუხლი
- „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-51-50(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1376-13, 21.11.13) გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/45-13, 30.09.13) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის ანაზღაურება, რაც არ ემყარებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს. სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის, რომ გარდა სააპელაციო სასამართლოში გადახდილი ბაჟისა, მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოშიც სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილ იქნა 100 ლარი. არ გაითვალისწინა სასკ-ის 9.1 მუხლი, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეში მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენდა განაცდურის ანაზღაურება და სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, რაც თავისი ბუნებით სოციალურ საკითხთა რიგს განეკუთვნება. სასკ-ის 9.1 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ დავებზე მხარეებს არ ეკისრებათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა. მოსარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება იყო. შესაბამისად, განსახილველი დავა მიეკუთვნება საქმეთა იმ კატეგორიას, რომლებიც განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მოსარჩელეს დაუბრუნა მის მიერ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში ბაჟის სახით გადახდილი 250 ლარი.

3. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

მხარეთათვის სასამართლო უწყების გადაცემა;

სასამართლო უწყების ჩაბარება;

შეტყობინება აღრესატის არყოფნის შემთხვევაში;

საჯარო შეტყობინება

გზავნილის ჩაბარების უზრუნველყოფის დავალება წარმოადგენს აღმასრულებლის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71.1 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74.2 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-551-538(3კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლო (საქმე №3-126/2013, 14.02.14) დააკმაყოფილა სარჩელი კერძო აღმასრულებლის მიერ შედგენილი გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადების, მოსარჩელის იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ გამართული იძულებითი აუქციონის შედეგებისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო (№3/ბ-158-2014, 11.07.14) სრულად გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასევე მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ სსკ-ის 78-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საჯარო შეტყობინება საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უკიდურესი საშუალებაა, რომელსაც უფლებამოსილმა პირმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიმართოს, თუ ამონაწერი მხარის ინფორმირების სსკ-ის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა რესურსი. ამ შემთხვევაში კი არ იყო ამონაწერი მხარის ინფორმირების ყველა რესურსი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის სხვა მისამართი აღმასრულებლისათვის უცნობი იყო, ხოლო ოფიციალურ დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართზე გზავნილი ვერ ჩაჰბარდა მისი ამ მისამართზე არყოფნის გამო. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 74.2 მუხლით დადგენილი მოთხოვნის შესრულების ვალდებულება გზავნილის ჩამბარებელს ეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მას ასეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ უფლებამოსილმა პირმა ისე გამოიყენა სსკ-ის 78-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო შეტყობინება, რომ არ იყო ამონაწერი მხარის ინფორმირების სსკ-ის 73.1 მუხლით გათვალისწინებული ყველა რესურსი, დაუსაბუთებელია და არ ემყარებოდა საქმის მასალების ჯეროვან ანალიზს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დააბრუნა საქმე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში.

4. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში

არასათანადო მოპასუხის შეცვლა

საპროცესო კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევს მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებზე პასუხი აგოს არავალდებულმა პირმა

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-238-235(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №3/277-13) არ დააკმაყოფილა სარჩელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/570-13, 30.01.14) მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო არ წარმოადგენდა ლიკვიდირებული შპს-ს სამართალმემკვიდრეს და მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესრულებულ ან/და შეუსრულებელ ვალდებულებებზე, არ გამოარკვია ლიკვიდაციის პროცესში, თუ ვის გადაეცა შპს-ს ქონება და ვინ უნდა ყოფილიყო სახელფასო ვალდებულებებზე პასუხისმგებელი. საქმის განხილვისას არ განსაზღვრა სათანადო მოპასუხე და მხოლოდ გადაწყვეტილებით დაადგინა მოპასუხის არასათანადოობა, რითაც დაარღვია სსკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტებით შექმნილი კერძო თუ საჯარო დანესებულების ლიკვიდაციისას არ განსაზღვრულა (და ვერც დგინდება) სუბიექტის შეუსრულებელ სახელფასო ვალდებულებებზე პასუხისმგებელი სუბიექტი, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა იმსჯელონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, როგორც „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მიხედვით სახელმწიფო ვალდებულებებზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს, სათანადო მოპასუხედ მიჩნევის თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

მესამე პირის ჩაბმა ადმინისტრაციულ პროცესში

სავალდებულო მოწვევის მესამე პირი განსახილველი სამართალურთიერთობის უშუალო მონაწილე უნდა იყოს. განსახილველ დავაზე მას თავისი დამოუკიდებელი სამართლებრივი ინტერესი უნდა გააჩნდეს და მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა უნდა იყოს შესაძლებელი

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377.1 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 12 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-145-138(კ-13) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის ვაკე-საბურთალოს რიონულმა სასამართლომ 2004 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/213-04) არ დააკმაყოფილა საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის სარჩელი დეპარტამენტის მიერ დაკავებული ფართის ნაწილში სს-ს სახელზე სახელმწიფო ქონების პრივატიზების ნაწილობრივ ბათილად (არარად) ცნობის შესახებ უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (3ბ/1448-11, 18.12.12) გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ისე, რომ არ მიიღო მხედველობაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას პროცესუალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების შესაძლებლობას, გაცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და არააპელანტი მოსარჩელის მოთხოვნის ფორმულირების სისწორეზე იმსჯელა, თუმცა არ იმსჯელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინტერესის და შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს 11.06.04წ. გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილების არსებობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ მოსარჩელე, მოპასუხე და სსკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში ჩაბმული მესამე პირები. თუმცა, მესამე პირი, რომელიც სასარჩელო მოთხოვნას მხარს უჭერს, არ არის სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებაზე უფლებამოსილი სუბიექტი. მესამე პირს შეუძლია მხოლოდ თავისი მოთხოვნისა და ინტერესის ფარგლებში განახორციელოს საპროცესო მოქმედებები. პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 377.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო დავას იხილავს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში. ის გარემოება, რომ მოსარჩელემ სააპელაციო პალატის სხდომაზე ვერ დააზუსტა თავისი მოთხოვნა, სააპელაციო სასამართლოსთვის არ ქმნიდა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დააბრუნა საქმე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში.

5. სასამართლო მტკიცებულებები

მტკიცებულებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ

შტატების შემცირების არსებობის საკითხის გარკვევა სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების დანაწესის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს თავად შეუძლია

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-17-21-ე მუხლები
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-355-345(კ-13) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/173-13, 29.03.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3148-12, 28.12.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას გამოიყენა სასკ-ის 32.4 მუხლი მაშინ, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოკვლეულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავდა სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების დასაბუთებას და ემყარებოდა მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ სამინისტრომ სადავო აქტის გამოცემისას არ გამოიკვლია მოხდა თუ არა შტატების შემცირება. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობა ჰქონდა სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების დანაწესის გათვალისწინებით გამოერკვია აღნიშნული საკითხი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი არ ათავისუფლებს სასამართლოს საქმის განხილვის გარემოებების დადგენა-გამოკვლევისაგან. სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ სამინისტრომ არ გამოიკვლია კადრების შემცირების არსებობის საკითხი, არ ქმნიდა სადავო აქტის გაუქმების საკმარის საფუძველს, მით უფრო, რომ სადავო საკითხზე სამინისტროს მიერ მანამდე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საკასაციო სასამართლოს 15.07.09წ. გადაწყვეტილებით ერთხელ უკვე გაუქმდა სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესის საფუძველზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოიცა საკასაციო სასამართლოს ორი აქტის – 15.07.09წ. გადაწყვეტილებისა და 30.07.04წ. განჩინების საფუძველზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება

მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-497-490(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (საქმე №3/1001-14, 13.11.14) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო შსს ბრძანება და მოპასუხეს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1709-14, 11.03.15) არ დააკმაყოფილა შსს-ს სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მტკიცება იმის შესახებ, რომ სამართალდარღვევის ფაქტის გამოსავლენად მნიშვნელოვანია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების და შემთხვევის ადგილის შესახებ ვიდეონაწერზე ასახული გარემოებების ერთობლიობაში გამოკვლევა-შეფასება, რის გამოც ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უტყუარად არ იყო დადგენილი სამართალდარღვევის ფაქტი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებდა ადმინისტრაციულ აქტში მითითებული ფაქტების უსწორობას, შესაბამისად, გაუგებარია, დამატებით რა გარემოებები უნდა გამოიკვლიოს ადმინისტრაციულმა ორგანომ ან სააპელაციო სასამართლო როგორ მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობდა მოსარჩელის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, რაც სადავო აქტის გამოცემისას არ იქნა მხედველობაში მიღებული. ვინაიდან საქმეში არ არსებობდა მტკიცებულებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა, დავის ფაქტობრივი გარემოებები კი დამატებით დადგენას არ საჭიროებდა, საკასაციო სასამართლომ თავად მიიღო გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა.

სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება

სასამართლომ კვალიფიციური შეფასება უნდა მისცეს სარჩელის საგანს და დავა გადაწყვეტოს სარჩელის ფარგლებში

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-298-295(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლო (№3ბ/194-14, 27.03.14) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-155-13, 27.12.13) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას გასცდა სსკ-ის 377-ე მუხლის მოთხოვნებს, როდესაც იმსჯელა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის კანონიერებაზე მაშინ, როცა დავის საგანს წარმოადგენდა არა გადაწყვეტილების კანონიერება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოსათვის აღნიშნული აქტის ბათილად ცნობის დავალება. სააპელაციო სასამართლომ დასკვნა, რომ სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელებული რეგისტრაციით ზიანი არ მისდგომია მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, არ წარმოადგენდა დავის საგანს მოცემულ საქმეში, რითაც სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 248-ე მუხლით დადგენილი სარჩელის განხილვის ფარგლები. სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, დავის საგანს, რითაც დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ უნდა ემსჯელა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების არც კანონიერებაზე და არც მის კანონიერებაზე აღძრული სარჩელის დასაშვებობაზე. კერძოდ, მიადგა თუ არა ამ აქტით პირდაპირი და უშუალო ზიანი მოსარჩელის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რადგან ასეთი მოთხოვნით სარჩელი აღძრული არ ყოფილა. სასამართლომ არ გამიჯნა, სარჩელის მოთხოვნის ობიექტი – საგანი მისი ფაქტობრივი საფუძვლებისგან, რის გამოც იმსჯელა არა დავის საგნის, არამედ დავის საფუძვლის – სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელებული რეგისტრაციის კანონიერებაზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კვალიფიციური შეფასება უნდა მისცეს სარჩელის საგანს და დავა გადაწყვეტოს სარჩელის ფარგლებში მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება

დავის სწორად გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების დეტალურად და ქრონოლოგიურად განხილვას

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-695-681(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/68-12) სარჩელი სარეგისტრაციო ჩანაწერების ბათილად ცნობისა და სადავო ქონების მესაკუთრედ აღიარების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის განჩინებით (№3ბ/1614-13) უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლო არასწორად მიუდგა სადავო საკითხებს და არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის გამოც საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის გარეშე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების დეტალურად და ქრონოლოგიურად განხილვას. სააპელაციო სასამართლომ კი სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა ობიექტური შეფასება, რის შედეგადაც არასწორი სამართლებრივი განმარტება მისცა განსახილველ სამართალურიერთობას. სააპელაციო სასამართლომ ვერ გამორიცხა სარჩელის მოტივები და ვერ დაასაბუთა რა სამართლებრივი კავშირი ჰქონდათ ი/სანარმოს და მის მემკვიდრეებს სადავო უძრავ ქონებასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

სასამართლომ უნდა გადაამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იდენტურ საქმეებზე, რათა ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი კანონიერი გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-246-243(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს (№3/ბ-01-14, 17.02.2014) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით

ბაზე (საქმე №3-165/13, 19.11.2013) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ უმსჯელია განსახილველი საქმის მიმართ სსკ-ის 106-ე მუხლის თანახმად კანონიერ ძალაში შესული რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების პრეიუდიციული მნიშვნელობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილება, რის გამოც სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებისა და ნორმების სწორი განმარტებიდან, სსკ-ის 105.2 მუხლით დადგენილი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებიდან.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს და შპს-ს (მესაკუთრეს) შორის არსებობდა ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც დგინდებოდა სასამართლოში წარდგენილი გადახდის ქვითრებითა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით, რომლითაც დასტურდებოდა, რომ 1994 წლიდან სადავო ფართის დამქირავებელი მოსარჩელე გახდა. ამ დავაზე გამოტანილ სასამართლო აქტებს, სსკ-ის 106-ე, 266-ე მუხლების თანახმად განსახილველი დავის მიმართ შესაძლოა პრეიუდიციული მნიშვნელობა ჰქონდეს. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა მოიპოვოს საქმის კანონიერად გადასაწყვეტად აუცილებელი მტკიცებულებები, გამოიკვლიოს და სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საერთოდ გამოუკვლეველია ფაქტობრივი გარემოებები სამართალწარმოების ყველა სტადიაზე მოსარჩელის ძირითად მოტივზე – თანასწორობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით, აგრეთვე სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს განსახილველი დავის მიმართ სხვა სასამართლო აქტების პრეიუდიციულ მნიშვნელობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

შენიშვნა: ანალოგიურია უზენაესი სასამართლოს №ბს-9-9 (2კ-14), 30.10.14 განჩინება.

ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

სასამართლოს არ ერთმევა შესაძლებლობა იმსჯელოს განაჩენზე, როგორც წერილობით მტკიცებულებაზე და გაიზიაროს მასში ასახული გარემოებები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 იანვრის განმარტება საქმეზე №ბს-144-141(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ (საქმე №3/1987-12,27.08.12) არ დააკმაყოფილა სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3/1171, 12.11.13) ისე ცნო ბათილად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომ არ მისცა წარმოდგენილ დოკუმენტაციას შეფასება, არ გაითვალისწინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 03.04.2012წ. განაჩენით დადგენილი გარემოებები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლო დავის გადაწყვეტლად აქტს ბათილად ცნობს იმ შემთხვევაში, როდესაც ამკარაა, რომ გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს გარკვეული გარემოებების გამოკვლევას, რომელიც არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ამასთანავე ამ გარემოების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის. სასკ-ის 32.4. მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალწარმოების ფარგლებში ვერ ხერხდება სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, რაც თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის სადავო ადმინისტრაციული აქტების კანონიერებაზე მსჯელობას. სასკ-ის 106-ე მუხლში 24.09.2010წ. კანონით შეტანილი ცვლილების შედეგად სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ აქტს არ აქვს პრეიუდიციული ძალა, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული პროცესუალური აქტების მტკიცებულებად მიღებისა და მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებით შესაბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. სასამართლოს არ ერთმევა შესაძლებლობა იმსჯელოს განაჩენზე, როგორც წერილობით მტკიცებულებაზე და გაიზიაროს მასში ასახული გარემოებები. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც დააბრუნა საქმე ხელახალი განხილვისათვის.

შენიშვნა: ანალოგიურია უზენაესი სასამართლოს №ბს-402-397(კ-14), 14.05.15 განჩინება

დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა

სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით დანიშნოს დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზა კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 2 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-101-99(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-76-2013, 07.10.13) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-464/12, 27.12.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას ექსპერტიზის დასკვნა შეაფასა როგორც კატეგორიული ხასიათის არმქონე, არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა საქმეზე განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, ასევე არ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს განჩინება ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ, რითაც დაარღვია სასკ-ის 173-ე მუხლის მოთხოვნა. ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივი შეფასებები არასწორია და არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებისა და კონკრეტული ნორმების სწორი გამოყენება-განმარტებიდან, სასკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის დადგენილი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებიდან. სასამართლომ დავა გადაწყვიტა ისე, რომ არ გამოუკვლია და არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოებები, არ გამოუყენებია ადმინისტრაცი-

ციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის მასალების ამგვარი შეფასება ეწინააღმდეგება, როგორც სსკ-ის 105-ე მუხლით მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასება-დადგენის საპროცესო სტანდარტს, ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებულ უფლებამოსილებას – ადმინისტრაციულ სამართალწარმოების ოფიციალობის პრინციპის საფუძველზე განხორციელებას. საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ იმ პირობებში, როცა სასამართლო ორგანოები სარწმუნოდ, საკმარისად არ მიიჩნევენ საქმეში არსებულ რომელიმე მტკიცებულებას ამა თუ იმ ფაქტობრივ გარემოების დადგენილად/დაუდგენლად მიჩნევისათვის, უფლებამოსილნი არიან თავად მოიპოვონ მათი დამადასტურებელი/გამაქარწყლებელი ნებისმიერი დოკუმენტაცია. ექსპერტიზის დასკვნის სპეციფიკური ხასიათისა და მისი საქმის გარემოებების ობიექტური და სრულფასოვანი გამოკვლევა-დადგენის მიზნით აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა სსკ-ის 173-ე მუხლით განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ექსპერტიზის დანიშვნა დამოკიდებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული ისეთი სპეციფიკური საკითხების დადგენაზე, რომელიც მოითხოვს სათანადო, სპეციალურ ცოდნას და არ გააჩნია მმართველობის თანამდებობის პირს ან მოსამართლეს, რაც მოცემულ საქმეში უდავოდ სახეზეა, რამდენადაც სამშენებლო პროექტი წარმოადგენს იმგვარ დოკუმენტს, რომელიც მხოლოდ სპეციალური ცოდნის, პროფესიის, სპეციალისტის კვალიფიკაციის მქონე პირების ერთობლივი, კომპლექსური სამუშაოს შედეგია. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა

საქმის განხილვისას სასამართლო აფასებს საქმეში წარმოდგენილ ყველა მტკიცებულებას და საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს განმეორებით ექსპერტიზას

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-492-485(2კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/2786-14) ბათილად იქნა ცნობილი შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 13 მაისის ბრძანება, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 25 მარტის წინასწარი გადაწყვეტილებები და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალა წინასწარი გადაწყვეტილებით, ნაცვლად მინიჭებული კოდისა მოსარჩელის მიერ განცხადებაში მითითებულ პროდუქციას მიანიჭოს სასა-

ქონლო კოდი – „9021“. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განჩინებით (№3ბ/42-15) უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ექსპერტის შეფასება, თუმცა არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ არც ერთი ექსპერტიზის დასკვნა არ შეიცავდა დეტალურ დასაბუთებას განხორციელებული შემოწმების თაობაზე, ასევე არ გაითვალისწინა, რომ ექსპერტიზის დასკვნები არ არის წარმოდგენილი ყველა პროდუქციაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, სააპელაციო სასამართლოს განჩინება კი ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ე¹“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და მიუთითა, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება, საჭიროების შემთხვევაში, დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და სადავო პროდუქციის კლასიფიკაციის საკითხი ამგვარად გადაწყვიტოს.

6. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და აქტის გამოცემის თაობაზე (შეცილებითი და მავალდებულებელი სარჩელი)

მოთხოვნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ შეცილებითი სარჩელია

– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 23-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 11 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-43-42(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2013 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1286-13, 03.12.13) არ დაასაბუთა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოპასუხისათვის სსკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. არ გაითვალისწინა, რომ აღძრული იყო არა მავალდებულებელი (სსკ-ის 23-ე მუხლი), არამედ შეცილებითი (სსკ-ის 22-ე მუხლი) სარჩელი. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა მეორე სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე, რომლითაც მოსარჩელე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძა-

ლების რიგებიდან.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამსახურში აღდგენის შესახებ მოთხოვნა არ საჭიროებდა აქტის გამოცემის დავალებას, საკმარისი იყო სადავო აქტების გაუქმება. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ მოსარჩელე ვერ შეძლებდა უფლებამოსილების შესრულებას საზღვარგარეთ, ამასთანავე მას არ მიუმართავს ხელმძღვანელობისათვის სხვა სამსახურში დასაქმების მოთხოვნით, შესაბამისად, არ დასტურდება მავალდებულებელი სარჩელის აღძვრის სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის საპროცესო პირობების არსებობა. სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აქვს ვალდებულება განიხილოს სამსახურში დანიშვნის საკითხი და მხოლოდ მოსარჩელის თანხმობის შემთხვევაში იმსჯელოს რეზერვში ჩარიცხვის საკითხზე, ნიშნავს სამინისტროსათვის არა დავის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალებას, არამედ სამსახურში მიღების შესახებ აქტის გამოცემის დავალებას, რაც სცილდება სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სასკ-ის 32.4 მუხლით დადგენილ დანაწესს და არის სასკ-ის 33-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციისათვის აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნის დაკმაყოფილება. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტების გაუქმება არ იძლეოდა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უკანონო გათავისუფლებით იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურებაზე მითითების, დანიშვნის შესახებ აქტის გამოცემის დავალების საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

**სარჩელი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე
(მაპალდებულებელი სარჩელი)**

**საერთო წესის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებით აქტის
გამოცემის დავალება შეუძლებელია, თუ ბათილად არ გამოცხადდება
ადმინისტრაციული ორგანოს ის აქტი, რომლითაც უარყოფილია
მოსარჩელის მოთხოვნა**

– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2015 წლის 26 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-334-330(კ-
13) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3-153/13), ქ. ბათუმის ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტის დემონტაჟის გამო საკომპენსაციო თანხის – 1 კვ.მ. = 250 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობის კომპენსაციის განსაზღვრის შესახებ არ დააკმაყოფილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-429-13, 17.09.13) საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე გამოცემული აქტის კანონიერებაზე მსჯელობის გარეშე დააკმაყოფილა მოთხოვნა ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და მთლიანად გააუქმა სადავო ბრძანება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მავალდებულებელი სარჩელი (სასკ-ის 23-ე მუხ.). მავალდებულებელი სარჩელი დასაბუთებულად მიიჩნევა, თუ აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნა შესაბამის სამართლებრივ საფუძველს ემყარება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს მოთხოვნილი აქტის გამოცემის უფლებამოსილებას და დაინტერესებული პირიც უფლებამოსილია მოითხოვოს აქტის გამოცემა. აქტის გამოცემის დავალების აუცილებელი პირობა არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. საერთო წესის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებით აქტის გამოცემის დავალება შეუძლებელია, თუ ბათილად არ გამოცხადდება ადმინისტრაციული ორგანოს ის აქტი, რომლითაც უარყოფილია მოსარჩელის მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული აქტის კანონიერებაზე/უკანონობაზე მსჯელობის გარეშე მოახდინა კომპენსაციის გადაანგარიშება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის.

აღიარებული სარჩელის აღკვერის შემთხვევაში სასამართლოს მიერ სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების დასაშვებობის საკითხი

გარკვეული საფუძვლის არსებობისას სასამართლოს ვალდებულებაა შეაჩეროს საქმის წარმოება

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის “დ” ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-617-604(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/89-13) ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტები და მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 მაისის ახალი გადაწყვეტილებით (3ბ/213-14) სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებები სასაქონლო ნიშნების საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარებაზე უარის თქმის ნაწილში და სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა დაევალა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის ბრძანებები. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აქტები, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა განცხადებული სასაქონლო ნიშნების საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარებაზე არ იყო გამოცემული საქმის გარემოებათა სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად, რის გამოც სახეზე იყო ადმინისტრაციული წარმოებისას სზაკ-ის 96-და 53-ე მუხლების დარღვევა, რაც იმავე კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილისა და სასკ-ის 32-ე მუხლის

მე-4 ნაწილის საფუძველზე ქმნიდა მათი ბათილად ცნობის წინამძღვრებს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს განმარტებით აღიარებითი სარჩელის აღძვრა დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია შეცვლითი ან მავალდებულებელი სარჩელის აღძვრა, ამდენად, სასამართლოს მიერ აღიარებითი სარჩელის განხილვის პროცესში ვერ იქნება გამოყენებული, ვერც სასკ-ის 22-ე-24-ე და შესაბამისად, ვერც 32-ე-33¹-ე მუხლები, რადგან საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლები შეცილებით/მავალდებულებელ სარჩელს შეეხება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად, აღძრული სარჩელის შემთხვევაში კი სასამართლო თავად იღებს გადაწყვეტილებას უფლების აღიარება/არაღიარების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა/არარსებობის ფაქტის დადგენის შესახებ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან აღიარებითი სარჩელის ფარგლებში სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება აბსოლუტურად ეწინააღმდეგება აღიარებითი სარჩელის არსს და მის ძირითად პრინციპს. მოცემულ შემთხვევაში კი ნათელია ის გარემოება, რომ საკითხის დადგენის/გამოკვლევის უფლებამოსილება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სასამართლოს თავად გააჩნდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას თავად უნდა იმსჯელოს აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობაზე. ამასთან, მოსარჩელის მიერ მესამე პირის მიმართ სასაქონლო ნიშნის არაკეთილსინდისიერი განზრახვით რეგისტრაციასთან დაკავშირებით სამოქალაქო წესით სარჩელი აქვს აღძრული. ამდენად, საქმის ხელახლა განხილვისას მოსარჩელემ უნდა გადაწყვიტოს, ხომ არ არსებობს აღიარებითი სარჩელის ნაწილში საქმის განხილვის დასრულებამდე მესამე პირის მიმართ მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე სასკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

**სარჩელის დასაშვებობის შემთხვევა ადმინისტრაციულ
სამართალწარმოებაში;**

სარჩელის ტრანსფორმაციის ინსტიტუტის გამოუყენებლობა

**გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლოს მიერ დადგენილი
გარემოებებისა და მტკიცებულებების (რომლებსაც ემყარება
სასამართლოს დასკვნები), მოსაზრებების (რომლითაც სასამართლო
უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას) მითითება სავალდებულოა**

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26².2 მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2014 წლის 9 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-52-51(კ-
14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი საცხოვრებელი ბინის პრივატიზების ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე (საქმე №3/3962-

12). თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/688-13, 23.10.13) სარჩელის დაუშვებლობის საფუძველზე დაყრდნობით, მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასკ-ის 28¹-ე მუხლით დადგენილი სარჩელის ტრანსფორმაციის ინსტიტუტის გამოყენება. სააპელაციო სასამართლოს მიერ აღრეულია სარჩელის დასაშვებობისა და სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისა და შეფასების საპროცესო კანონით განსაზღვრული კრიტერიუმები. ასევე, უხეშად დაარღვია სსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების იმპერატიული მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმები ზღუდავს რეალაქტის მიმართ არასათანადო მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნის შესაძლებლობის რეალიზაციას. სასკ-ის 26²-ე მუხლის მე-2 ნაწილით სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორი შეფასება მისცეს სასარჩელო მოთხოვნას და არასწორი მიდგომა ჩამოაყალიბეს სარჩელის ტრანსფორმაციის ინსტიტუტის გამოყენებასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სასკ-ის 28¹-ე მუხლით დადგენილი სარჩელის ტრანსფორმაციის ინსტიტუტით მოსარჩელეს მოთხოვნის სწორ სამართლებრივ ფორმულირებაში დახმარებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

სადავო საკითხის გადაწყვეტილად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ახალი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები (ჯარიმის დაკისრებასთან დაკავშირებით)

სასამართლოსთვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილება – უარი ეთქვას სადავო საკითხის მოწესრიგებაზე და აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს იმავე საკითხზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემა, არ წარმოადგენს უპირობო და შეუზღუდავ უფლებამოსილებას

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385.2 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-154-151(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/271-13) არ დააკმაყოფილა სარჩელი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ჯარიმის სახით გადახდილი 30000 ლარის დაბრუნების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/879-13, 28.11.13) გასაჩივრებული გადან-

ყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებისას არ იმსჯელა ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მარეგულირებელი ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ კანონიერებაზე, ზოგადად მიუთითა გამოსაკვლევ საკითხებზე და არ დაასაბუთა, რატომ იყო შეზღუდული თავად გამოეკვლია ისინი. სააპელაციო სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო სადავო გადაწყვეტილება და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მაშინ, როდესაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისა და სადავო საკითხის გადაწყვეტაზე უარის თქმის პროცესუალური წინაპირობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სრული პროცესუალური უფლებამოსილება ჰქონდა თავად გადაეწყვიტა დავა, რამდენადაც გასაჩივრებული აქტის მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იყო დარღვეული აქტის გამოცემის ის პროცედურები, რაც უპირობოდ შექმნიდა საქმის ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნების წინაპირობას. სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, ხოლო მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

შენიშვნა: ანალოგიურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-153-150(კ-14), 29.07.14; №ბს-137-134(კ-14), 29.07.14; №ბს-355-351(2კ-14), 02.12.14 და №ბს-303-299(კ-14), 02.12.14 განჩინებები.

სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის დავალაშის წინაპირობები (თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით)

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება სასამართლომ უნდა გამოიყენოს იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება

– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-125-123(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით

(საქმე №3/962-14, 17.06.2014) სარჩელი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის განკარგულების ბათილად ცნობის, მოპასუხისათვის მისი სამსახურში აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სადავო განკარგულება და ქ. თბილისის საკრებულოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1416-14, 23.12.2014) გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა რეორგანიზაციას, რომელსაც მოჰყვა შტატების შემცირება. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხე მხარემ დარჩენილ ორ ვაკანტურ თანამდებობაზე დატოვებული თანამშრომლების უპირატესობა დაასაბუთა მათი თვითმმართველობაში უფრო ხანგრძლივ წელთა ნამსახურებით, რაც არ წარმოადგენდა სადავო აქტის კანონიერად მიჩნევისა და სადავო აქტის გამოცემის საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების დასაბუთებას და ემყარება მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სადავო აქტის გამოცემისას არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, შტატების შემცირების მოტივით მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ განკარგულების გამოცემისას გამოკვლეული არ იქნა ფაქტობრივი გარემოებები მოხელეების კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და რეორგანიზაციამდე შრომის დისციპლინისადმი თითოეული მათგანის დამოკიდებულების შესახებ. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ თავად უნდა იმსჯელოს, თუ რა გარემოებები არ იყო გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლის გამოკვლევისა და დადგენის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება იმის გათვალისწინებით, რომ აქტის გამოცემის მომენტისათვის აპარატის უფროსმა გადაწყვეტილება მიიღო იმ მოადგილის განთავისუფლების თაობაზე, რომელსაც იმ დროისათვის ყველაზე ნაკლები დატვირთვა ჰქონდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

სადავო საკითხის გადაწყვეტილად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის დავალაშის წინაპირობები (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით)

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და გამოკვლევის გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად ცნოს ეს აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი

– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-259-255(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/92-14) სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებები. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საკითხის ხელახლა განხილვისას შეესწავლა მოსარჩელისა და მესამე პირების საკუთრების უფლების არსებობა და ფარგლები, სადავო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთების კოდეზი, მესაკუთრეები (მოსარგებლები), გეოგრაფიული მდებარეობა, მიწის ნაკვეთის სხვა მახასიათებლები, უძრავი ქონების კონფიგურაცია, ნაკვეთის საზღვრების პარამეტრები და ამ გარემოებათა გამოკვლევა-შეფასების შემდეგ, საქმის წარმოებისას დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის უზრუნველყოფით მიეღო გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციასა თუ მასზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით (№3ბ/1680) გორის რაიონულ სასამართლოს 2014 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტები კანონს არ ეწინააღმდეგება. ამასთან, ისინი არანაირ პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს არ აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, რის გამოც არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისა და მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა ის ფაქტი, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემით მესამე პირების საკუთრებად აღირიცხა ის მიწის ნაკვეთებიც, რომლებიც მანამდე მის კანონიერ სარგებლობაში იყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლო აღნიშნა, რომ კასატორის ისევე, როგორც მესამე პირებს, უფლების დამდგენი დოკუმენტის – საკომლო წიგნის ჩანაწერების მიხედვით, საკუთრების უფლება გააჩნიათ უძრავ ქონებაზე, თუმცა აღნიშნული უფლების დამდგენი დოკუმენტებით უძრავი ქონების ზუსტი ადგილმდებ-

ბარეობა, კონფიგურაცია და კოორდინატები არ დგინდება.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიწის ნაკვეთების მესამე პირების სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოხდა მხოლოდ ამ პირთა მიერ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზების მეშვეობით და მხოლოდ მათ მითითებებზე დაყრდნობით მაშინ, როდესაც მიწის ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ ეს მონაცემები სხვა რაიმე დოკუმენტს არ ეყრდნობოდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მესამე პირების მიერ მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი უფლების დამდგენი დოკუმენტი, მართალია, ფორმალურად ქმნიდა უძრავი ქონების მათ სახელზე რეგისტრაციის საფუძველს, თუმცა საკომლო წიგნის ჩანაწერში მიწის ნაკვეთების ზუსტი ადგილმდებარეობა მითითებული არ იყო. ამდენად, მარეგისტრირებელ ორგანოებს ზუსტად უნდა განესაზღვრათ მესამე პირების საკუთრების ადგილმდებარეობა, კონფიგურაცია და საზღვრები, რომლის მეშვეობითაც გამოირიცხებოდა სხვა პირთა უფლებების შელახვა. ამასთან, გორის სარეგისტრაციო სამსახურს ადმინისტრაციული წარმოების დროს უნდა დაედგინა სადავო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთების კოდები, მესაკუთრეები (მოსარგებლებები), გეოგრაფიული მდებარეობა და განესაზღვრა მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთის საზღვრები. ამდენად არსებობს სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების საფუძველი, რის გამოც საკასაციო სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საქმის გარემოებების სათანადოდ გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა.

7. წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის დაბრუნების შეუძლებლობა

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინება

აღსრულების დაწყების დაუშვებლობის პირობებში, შეუძლებელია საგარანტიო თანხის სახით გადახდილი აღსრულების წინასწარი საფასურის დაბრუნების შესაძლებლობის შეზღუდვა

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38.8 მუხლი
- „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21.2 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-66-64(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/121-13) საქართველოს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩეული დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება და მოპასუხეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით (№3ბ/1136-13) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აპლიკანტმა საგარანტიო თანხის სახით აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეიტანა კანონით გათვალისწინებული წინასწარი საფასური, რითაც გამოხატა ნება „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ ბრძანების გამოცემის შემთხვევაში მისი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ნორმა კრძალავს შესაბამისი განცხადების წარმოებაში მიღების შემდგომ ახალი სააღსრულებო მოქმედების განხორციელებას და არა სააღსრულებო ფურცლის წარმოებაში მიღებას. სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს კრედიტორის წერილობითი განცხადება და განცხადების წარმოებაში მიღება; აღსრულების ამ სახით დაწყება არ წარმოადგენს აღსრულების ახალ ღონისძიებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის სწორად გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სააღსრულებო ორგანოების მოქმედებათა კანონიერების შეფასება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის იმპერატიულ მოთხოვნათა გათვალისწინებით. აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებული იყო არ დაეწყო ახალი სააღსრულებო წარმოება, აღსრულების ბიურომ მიზანმიმართულად ფორმალურად მიიღო წარმოებაში აღსასრულებელი საქმე, მიიღო აღსრულების საფასური და შეაჩერა სააღსრულებო წარმოება. ეს იმ პირობებში, როდესაც აღსრულების დაწყების შემდგომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი გამორიცხავს კრედიტორისათვის წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის დაბრუნების შესაძლებლობას (38.8. მუხლი). ასეთ შემთხვევაში ახალი სააღსრულებო წარმოების დაწყება მხოლოდ აღსრულების საფასურის მიღებას ემსახურება, რაც საკასაციო სასამართლოს დაუშვებლად მიაჩნია. აღსრულების დაწყების დაუშვებლობის პირობებში, დაუშვებელია შეიზღუდოს საგარანტიო თანხის სახით გადახდილი აღსრულების წინასწარი საფასურის დაბრუნების შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ბათილად ცნო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილება და საქართველოს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს დაუბრუნა მის მიერ საგარანტიო თანხის სახით გადახდილი აღსრულების წინასწარი საფასური.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 2 93 42 85
www.supremecourt.ge

The Supreme Court of Georgia
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 2 93 42 85
www.supremecourt.ge